N,N-დიმეთილფორმამიდთან კობალტის(II), ნიკელის(II) და მანგანუმის(II) სულფატური და ქლორიდული კომპლექსების შემთხვევაში აგებულია ოქტაედრულია, ხოლო სპილენძის(II)-ისა და კადმიუმის შემთხვევაში ტეტრაედრული.

საკვანძო სიტყვები: ბიმეტალური კომპლექსური ნაერთები; N,N-დიმეთილფორმამიდი (DMF); იწ სპექტროსკოპია.

The date of review 08.06.2022

The date of submission 21.02.2023

Signed for publishing 29.05.2023

UDC 621.372.8

SCOPUS CODE 1710

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-27-34>

ოპტიკურ ბოჭკოში წარმოქმნილი პარაზიტული სიხშირეების გამოთვლა LabVIEW პროგრამით საწყისი ხუთი ტალღის შემთხვევაში

იური მოდებაძე ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: i.modebadze@gtu.ge

ვახტანგ აბულაძე ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: v.abuladze@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. ქურდაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m.kurdadze@gtu.ge

ვ. ნანობაშვილი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: nanobashviliviktor08@gtu.ge

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ოპტიკურ ბოჭკოში ხუთი ძირითადი სიხშირის გავლისას ოთხტალღოვანი შერევის მეთოდით წარმოქმნილი პარაზიტული სიხშირეების გამოთვლა LabVIEW პროგრამის გამოყენებით. ამისათვის გამოყენებული ვირტუალური ხელსაწყო აგებულია [1]-ში მოყვანილი პარაზიტული სიხშირეების სავარაუდო მნიშვნელობების გამოსათვლელი მათემატიკური გამოსახულებების და პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული ითვლის იმ პარაზიტული სიხშირეების რაოდენობას რომლებიც მოთავსებული იქნებიან

საწყისი ხუთი სიხშირის 185–189 ტერაჰერც სიხშირულ დიაპაზონში და ანგარიშობს მათ შესაბამის მნიშვნელობებს. ვირტუალური ხელსაწყო ასაგებად შედგენილია ალგორითმი, რომელიც ოთხი ვარიანტისგან შედგება. თითოეული ვარიანტის მიხედვით აგებულია ქვეხელსაწყოები, რომელთა გაერთიანებით მიიღება ვირტუალური ხელსაწყო. აღნიშნული ხელსაწყო საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ მოცემულ დიაპაზონში პარაზიტული სიხშირეების მნიშვნელობები და იმ სიხშირეთა ჯამური კომბინაციები, რომლითაც მიიღება ეს მნიშვნელობები.

საკვანძო სიტყვები: ალგორითმი; ვირტუალური ხელსაწყო; ოთხტალღოვანი შერევა; ოპტიკური ბოჭკო; პარაზიტული სხივები; LabVIEW პროგრამა; სიხშირე; ტალღა.

შესავალი

ვირტუალური ხელსაწყო პროგრამა, რომელიც ითვლის ოპტიკურ ბოჭკოში წარმოქმნილ პარაზიტულ სიხშირეებს LabVIEW პროგრამით საწყისი ხუთი ტალღის შემთხვევაში, შედგენილია [1]-ში მოყვანილი ანალოგიური მსჯელობების მიხედვით. გამოთვლილი პარაზიტული სიხშირეებიდან საინტერესოა მხოლოდ ისინი, რომლის მნიშვნელობებიც მოთავსებული იქნება საწყისი ხუთი სიხშირის სიხშირულ დიაპაზონში.

პარაზიტული სიხშირეების მნიშვნელობები მიიღება იმ ჯამური კომბინაციების საშუალებით (ამ კომბინაციების სახეები დამოკიდებულია კოსინუსების ან სინუსების ნამრავლის ჯამად გარდაქმნის ფორმულაზე), რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ სიხშირეები $f_1 \pm f_2$, $2f_1 \pm 2f_2$, $3f_1 \pm 3f_2$ და ა.შ.

ამკარაა, რომ ამ კომბინაციებიდან, გარკვეული ნაწილი, რომლებსაც ანგარიშიც კი არ დაჭირდება, მოთავსებული იქნება საწყისი სიხშირეების $[f_1 \pm f_2]$ დიაპაზონის გარეთ, ხოლო დარჩენილი სხვა კომბინაციებით უნდა გამოვთვალოთ ის სიხშირეები, რომლებიც მოთავსებული იქნება აღნიშნულ დიაპაზონში, რაც შემდეგ დაგვეხმარება არაწრფივი ხელშეშლების დადგენასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში.

ძირითადი ნაწილი

ბოჭკოში საწყისი ტალღების გავრცელებისას გვექნება მათი ურთიერთქმედებების (რაოდენობის მიხედვით) სხვადასხვა ვარიანტი, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება პარაზიტული სიხშირეები. ამ ურთიერთქმედებებიდან ის ვარიანტები და, შესაბამისად, ის პარაზიტული სიხშირეებია საყურდღებო, რომელთა მნიშვნელობები მოთავსებული იქნება საწყის დიაპაზონში, ხოლო დანარჩენის განხილვას აზრი არა აქვს.

ამის გამო, ვიხილავთ პარაზიტული სიხშირეების ოთხ ვარიანტს შესაბამისი სიხშირეების ჯამური კომბინაციებით. ეს ვარიანტებია:

1. ორი სიხშირის ურთიერთქმედებისას მიღებული ვარიანტები:

1. $2f_1 - f_2$; 2. $2f_1 - f_3$; 3. $2f_1 - f_4$; 4. $2f_2 - f_1$; 5. $2f_2 - f_3$;
6. $2f_2 - f_4$; 7. $2f_3 - f_1$; 8. $2f_3 - f_2$; 9. $2f_3 - f_4$; 10. $2f_4 - f_1$; 11. $2f_4 - f_2$;
12. $2f_4 - f_3$; 13. $2f_5 - f_1$; 14. $2f_5 - f_2$; 15. $2f_5 - f_3$; 16. $2f_5 - f_4$.

2. სამი სიხშირის ურთიერთქმედებისას მიღებული ვარიანტები:

1. $f_1 + f_2 - f_3$; 2. $f_1 - f_2 + f_3$; 3. $f_1 + f_2 - f_4$; 4. $f_1 - f_2 + f_4$; 5. $f_1 + f_3 - f_4$;
6. $f_1 - f_3 + f_4$; 7. $f_2 + f_3 - f_4$; 8. $f_2 - f_3 + f_4$;
9. $f_1 + f_2 - f_5$; 10. $f_1 - f_2 + f_5$; 11. $f_1 + f_3 - f_5$; 12. $f_1 - f_3 + f_5$;
13. $f_1 + f_4 - f_5$; 14. $f_1 - f_4 + f_5$; 15. $f_2 + f_3 - f_5$; 16. $f_2 - f_3 + f_5$;
17. $f_2 + f_4 - f_5$; 18. $f_2 - f_4 + f_5$; 19. $f_3 + f_4 - f_5$; 20. $f_3 - f_4 + f_5$ 21. $3f_1 - f_2 - f_3$;
22. $3f_1 - f_2 - f_4$; 23. $3f_1 - f_3 - f_4$; 24. $3f_2 - f_1 - f_3$; 25. $3f_2 - f_1 - f_4$;
26. $3f_2 - f_3 - f_4$; 27. $3f_3 - f_1 - f_2$; 28. $3f_3 - f_1 - f_4$; 29. $3f_3 - f_2 - f_4$;
30. $3f_4 - f_1 - f_2$; 31. $3f_4 - f_1 - f_3$; 32. $3f_4 - f_2 - f_3$; 33. $3f_1 - f_2 - f_5$;
34. $3f_1 - f_3 - f_5$; 35. $3f_1 - f_4 - f_5$; 36. $3f_2 - f_1 - f_5$; 37. $3f_2 - f_3 - f_5$; 38. $3f_2 - f_4 - f_5$;
39. $3f_3 - f_2 - f_5$; 40. $3f_3 - f_4 - f_5$; 41. $3f_3 - f_1 - f_5$; 42. $3f_4 - f_1 - f_5$;
43. $3f_4 - f_2 - f_5$; 44. $3f_4 - f_3 - f_5$; 45. $3f_5 - f_1 - f_2$; 46. $3f_5 - f_1 - f_3$;
47. $3f_5 - f_1 - f_4$; 48. $3f_5 - f_2 - f_3$; 49. $3f_5 - f_2 - f_4$; 50. $3f_5 - f_3 - f_4$.

3. ოთხი სიხშირის ურთიერთქმედებისას მიღებული ვარიანტები:

1. $2f_1+f_2-f_3-f_4$; 2. $2f_1-f_2+f_3-f_4$; 3. $2f_1-f_2-f_3+f_4$; 4. $2f_2+f_1-f_3-f_4$; 5. $2f_2-f_1+f_3-f_4$; 6. $2f_2-f_1-f_3+f_4$;
7. $2f_3+f_1-f_2-f_4$; 8. $2f_3-f_1+f_2-f_4$; 9. $2f_3-f_1-f_2+f_4$; 10. $2f_4+f_1-f_2-f_3$; 11. $2f_4-f_1+f_2-f_3$; 12. $2f_4-f_1-f_2+f_3$;
13. $2f_5+f_1-f_2-f_3$; 14. $2f_5-f_1+f_2-f_3$; 15. $2f_5-f_1-f_2+f_3$;
16. $2f_5+f_1-f_2-f_4$; 17. $2f_5-f_1+f_2-f_4$; 18. $2f_5-f_1-f_2+f_4$;
19. $2f_5+f_2-f_3-f_4$; 20. $2f_5-f_2+f_3-f_4$; 21. $2f_5-f_2-f_3+f_4$;
22. $2f_1+f_3-f_4-f_5$; 23. $2f_1-f_3+f_4-f_5$; 24. $2f_1-f_3-f_4+f_5$; 25. $2f_1+f_3-f_4-f_5$; 26. $2f_1-f_3+f_4-f_5$; 27. $2f_1-f_3-f_4+f_5$; 28. $2f_2+f_1-f_3-f_5$; 29. $2f_2-f_1+f_3-f_5$; 30. $2f_2-f_1-f_3+f_5$; 31. $2f_2+f_3-f_4-f_5$; 32. $2f_2-f_3+f_4-f_5$; 33. $2f_2-f_3-f_4+f_5$; 34. $2f_3+f_1-f_2-f_5$; 35. $2f_3-f_1+f_2-f_5$; 36. $2f_3-f_1-f_2+f_5$; 37. $2f_3+f_2-f_4-f_5$; 38. $2f_3-f_2+f_4-f_5$; 39. $2f_3-f_2-f_4+f_5$;
40. $2f_4+f_1-f_2-f_5$; 41. $2f_4-f_1+f_2-f_5$; 42. $2f_4-f_1-f_2+f_5$; 43. $2f_4+f_2-f_3-f_5$; 44. $2f_4-f_2+f_3-f_5$; 45. $2f_4-f_2-f_3+f_5$.

4. ხუთი სიხშირის ურთიერთქმედებისას მიღებული ვარიანტები:

1. $f_1+f_2-f_3-f_4+f_5$; 2. $f_1-f_2+f_3+f_4-f_5$; 3. $f_1+f_2+f_3-f_4-f_5$; 4. $f_1+f_2-f_3+f_4-f_5$; 5. $f_1-f_2+f_3-f_4+f_5$; 6. $f_1-f_2-f_3+f_4+f_5$; 7. $3f_1+f_2-f_3-f_4-f_5$;
8. $3f_1-f_2+f_3-f_4-f_5$; 9. $3f_1-f_2-f_3+f_4-f_5$; 10. $3f_2+f_1-f_3-f_4-f_5$;
11. $3f_2-f_1+f_3-f_4-f_5$; 12. $3f_2-f_1-f_3+f_4-f_5$; 13. $3f_3+f_1-f_2-f_4-f_5$;
14. $3f_3-f_1+f_2-f_4-f_5$; 15. $3f_3-f_1-f_2+f_4-f_5$; 16. $3f_4+f_1-f_2-f_3-f_5$;
17. $3f_4-f_1+f_2-f_3-f_5$; 18. $3f_4-f_1-f_2+f_3-f_5$; 19. $3f_5+f_1-f_2-f_3-f_4$; 20. $3f_5-f_1+f_2-f_3-f_4$;
21. $3f_5-f_1-f_2+f_3-f_4$.

აქედან გამომდინარე, იმ ვირტუალური ხელსაწყოთა ასაგებად (პროგრამის შესადგენად), რომელიც გამოითვლის ჩვენთვის საყურადღებო პარაზიტულ სიხშირეებს, საჭიროა ოთხი ქვეხელსაწყო. ეს ქვეხელსაწყოები აგებული უნდა იყოს ზემოთ მოყვანილი შესაბამისი ვარიანტების მიხედვით.

თითოეული ქვეხელსაწყოთა აგების ალგორითმი ანალოგიურია [1]-ში მოყვანილი შესაბამისი ალგო-

რითმისა. კერძოდ, უნდა ვაფორმიროთ ორგანზომილებიანი სამი ძირითადი მასივი $M_{...1}$, $M_{...2}$ და $M_{...3}$.

$M_{...1}$ მასივის ყოველ სტრიქონში იწერება შესაბამის ვარიანტში მონაწილე სიხშირეები (ყველა სტრიქონი ერთი და იგივეა).

$M_{...2}$ მასივში იწერება 0, 1 და -1. ისინი სტრიქონებში განლაგებული არიან შესაბამისი ვარიანტის ჯამური სიხშირული კომბინაციების მიხედვით, რომელი სიხშირე რა ნიშნითაა და საერთოდ არის თუ არა ის. მაგალითად, $3f_5-f_1+f_2-f_3-f_4$ ჯამური კომბინაცია შეიძლება დავალაგოთ შემდეგნაირად $-f_1+f_2-f_3-f_4+0+3f_5$, ამიტომ $M_{...2}$ მასივის შესაბამის სტრიქონში ჩაიწერება -1; 1; -1; -1; 0; 1.

$M_{...3}$ მასივის ყოველ სტრიქონში იწერება ჯამურ სიხშირულ კომბინაციებში მონაწილე ყველა სიხშირე თავისი მნიშვნელობით და ნიშნით, მათი ჯამი ანუ პარაზიტული სიხშირის სავარაუდო მნიშვნელობები და ასევე გაფილტრული ჯამური ის სიხშირეები, რომლებიც საწყის სიხშირეთა დიაპაზონშია მოთავსებული.

ამ მასივების ზომა განისაზღვრება ვარიანტების მიხედვით. მაგალითად, სტრიქონებში ელემენტების რაოდენობა ყველა ვარიანტის მასივისთვის არის ერთი და იგივე ანუ 12. აქედან პირველი ხუთი საწყისი სიხშირეების (f_1, f_2, f_3, f_4, f_5), მეორე - გაორკეცებული ($2f_1, 2f_2, 2f_3, 2f_4, 2f_5$) ან გასამკეცებული ($3f_1, 3f_2, 3f_3, 3f_4, 3f_5$). მე-11 (s0) და მე-12 (s), პირველ ორ მასივში ცარიელია, მესამეში კი შესაბამისად პარაზიტული სიხშირის სავარაუდო სიხშირეების გაფილტრული მნიშვნელობებია. რაც შეეხება სტრიქონების რაოდენობას, იგი დამოკიდებულია ვარიანტში სიხშირეთა ჯამური კომბინა-

ციების რაოდენობაზე. მაგალითად, პირველ ვარიანტში იგი ტოლია 20-ის, მეორეში – 50-ის და ა.შ.

ამრიგად, პირველ ვარიანტში ყველა მასივის ზომაა 12x20, მეორეში – 12x50, მესამეში – 12x45 და მეოთხეში – 12x21.


თითოეულ ქვეპროგრამაში (ქვეხელსაწყო) ხდება ფორმირებული M_{i-1} და M_{i-2} მასივების გადამრავლება, სტრიქონის გასწვრივ ჯამის გამოთვლა და მათი გაფილტვრა (მოთავსებულია თუ არა ეს ჯამი საწყისი სხივების სიხშირულ დიაპაზონში). ამის შედეგად ფორმირდება M_i მასივი. როგორც აღვნიშნეთ, ჯამები იწერება მეთერთმეტე სვეტში, ხოლო გაფილტვრული პარაზიტული სხივები – მე-12-ში.

მაგალითის სახით სტატიაში განხილულია შემთხვევა, როცა პირველი საწყისი სიხშირე $f_i=185$ ტერაჰერცს და სიხშირეებს შორის სხვაობა (ბიჯი) ტოლია $\Delta=1$ ტერაჰერცის. ამ საწყისი მნიშვნელობების მიხედვით გამოთვლილია იმ პარაზიტული სხივების სიხშირეები, რომლებიც მოთავსებულია 185 – 189 ტერაჰერც დიაპაზონში.

ვირტუალური ქვეხელსაწყოების პროგრამა ვიზუალურად დიდ ფართობს იკავებს. ამიტომ მოგვყავს მხოლოდ ყველაზე დიდი (მე-3) ვარიანტის ვირტუალური ქვეხელსაწყოს სურათი. რომლის შესაბამისი ვირტუალური ქვეხელსაწყოა წინა პანელი და ბლოკდიაგრამა (პროგრამა) ნაჩვენებია შესაბამისად 1-ელ და მე-2 სურათებზე.

The screenshot shows a software window titled '3 qveprog.vi Front Panel'. It contains three data tables side-by-side, each representing a different frequency range. The tables are organized into columns with headers like 'M1-3', 'M2-3', and 'M3-3'. Each table has rows of numerical data, with some rows highlighted in blue. The tables appear to be part of a larger simulation or data processing application.

სურ. 1



სურ. 2


აღნიშნული ვირტუალური ხელსაწყო ასაგებად ვიქცევით შემდეგნაირად:

1. ვადგენთ შესაბამისი ვირტუალური ქვებელსაწყოების 1 და ა.შ. 4 პიქტოგრამებს (სურ. 4);
2. ამ პიქტოგრამებს განვალაგებთ ვირტუალური ხელსაწყო ბლოკდიაგრამაზე;
3. პიქტოგრამების M_3 მასივების გამოსასვლელების გაერთიანებით ვაფორმირებთ 12×136 ზომის ერთ M_3 მასივს;
4. ვირტუალური ხელსაწყო წინა პანელზე განვალაგებთ საწყისი მონაცემების შემყვან (f_i , Δ), M_3 მასივის და S გაფილტრული სიხშირეების დამთვლელ პიქტოგრამებს.


პირველი და მესამე ქვებელსაწყო შემთხვევაში M_3 მასივის მე-6 და ა.შ. მე-10 სვეტების შესაბამის სტრიქონებში იწერება $2f_i$, $2f_z$, $2f_3$, $2f_4$, $2f_5$, ხოლო მე-2 და მეოთხე ქვებელსაწყო შემთხვევაში – $3f_i$, $3f_z$, $3f_3$, $3f_4$, $3f_5$ მნიშვნელობები.

ვირტუალური ხელსაწყო (VI) წინა პანელი და ბლოკ-დიაგრამა ნაჩვენებია შესაბამისად მე-3 და მე-4 სურათებზე.

M_4 მასივში ნებისმიერი გაფილტრული და მასთან დაკავშირებული სიდიდეების მნიშვნელობის ნახვა შესაძლებელია შესაბამისი სტრიქონისა და სვეტის კოორდინატების ცვლილებით.



სურ. 3



სურ. 4

დასკვნა

ჩატარებული მსჯელობისა და გამოთვლების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

1. ოპტიკურ ბოჭკოში 5 საწყისი სიხშირის შემთხვევაში საწყისი სიხშირეების დიპაზონში აღიძვრება 50 პარაზიტული სიხშირე;

2. სიმარტივის მიზნით ვირტუალური ხელსაწყო პროგრამა დაყოფილია ოთხ ნაწილად (ქვეხელსაწყოდ);

3. თითოეული ქვეხელსაწყოების იქმნება შესაბამისი პიქტოგრამა;

4. ვირტუალური ხელსაწყო აგება ხდება შექმნილი პიქტოგრამების საშუალებით და ყველა ქვეხელსაწყო M_3 მასივების გაერთიანებით;

5. M_3 მასივების გაერთიანებით ფორმირდება M_4 მასივი, რომელს ზომა იქნება 12×136 .

ლიტერატურა

1. Modebadze, Iu., Murjikneli, G., Khoshtaria K. (2020). Calculations of Parasitic Radiation Frequencies Generated in Optical Fiber by LabVIEW Program in Case of Four Waves. Transactions: Automated Control Systems, 2(31). (In Georgian);
2. Kothari, S., Jaiswal, K., Vijayvargiya, S., Jabeena, A. (2014). Analysis of Four Wave Mixing in WDM Optical Fiber Systems Using LabVIEW. *ARPJN Journal of Engineering and Applied Sciences*, 9(8).;
3. Modebadze, I., Murjiknel, G., Khoshtaria, K. (2019). *Fiber-optical System of Modeling*. Tbilisi: Georgian Technical University. (In Georgian).

UDC 621.372.8
SCOPUS CODE 1710

Calculation of the Parasitic Frequencies Generated in the Optical Fiber Using the LabVIEW Program in Case of the Initial Five Waves

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-27-34>

Iuri Modebadze Department of Digital Telecommunication Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.
E-mail: i.modebadze@gtu.ge

Vakhtang Abuladze Department of Digital Telecommunication Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.
E-mail: v.abuladze@gtu.ge

Reviewers:

M. Kurdadze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: m.kurdadze@gtu.ge

V. Nanobashvili, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: nanobashviliviktor08@gtu.ge

Abstract. The calculation of the parasitic frequencies generated by the four-wave mixing method during the passage of the five main frequencies in the optical fiber using the LabVIEW program is discussed. The virtual tool used for this is built using mathematical expressions and a program for calculating the approximate values of parasitic frequencies given in the article. It counts the number of parasitic frequencies and calculates their corresponding values that will be placed in the 185-189 terahertz frequency range of the first five frequencies. An algorithm has been compiled for the construction of the virtual tool, which consists of four options. According to each option, sub-tools are built, by combining which a virtual tool is obtained. This tool allows us to clearly visualize the values of parasitic frequencies in a given range and the total combinations of those frequencies by which these values are obtained.

Keywords: algorithm; frequency; four-wave mixing; LabVIEW program; optical fiber; parasitic rays; virtual tool; wave.

განხილვის თარიღი 01.12.2022

შემოსვლის თარიღი 01.02.2023

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.2023

UDC 55

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-35-46>

ნავთობის თანმხლები წყლების ჰიდროგეოქიმიური მაჩვენებლების შესწავლა სამრეწველო გამოყენების მიზნით

- მარინე მარდაშოვა** გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: m_mardashova@gtu.ge
- თამარ რაზმაძე-ბროკიშვილი** ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: t_razmadze@gtu.ge
- თამარ მიქავა** გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: t.miqava@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. ხუნდაძე, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: n.khundadze@gtu.ge

გ. ზაუტაშვილი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: zautashvilinana03@gtu.ge

ანოტაცია. ცალკეული წყალშემცველი ჰორიზონტებისა თუ წყალშემცველი კომპლექსების ნავთობშემცველობაზე პერსპექტიულობის შეფასებისას ჰიდროგეოლოგიური მაჩვენებლების გამოყენება იმ არსებით როლზე არის დამყარებული, რასაც მიწის-ქვეშა წყალი ნავთობის წარმოქმნის და ბუდობად ჩამოყალიბების პროცესში ასრულებს. ჰიდროგეოლოგიური კრიტერიუმები მრავალგვარია და მათ

შორის ერთ-ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი, ნავთობის საბადოებისთვის დამახასიათებელი ანომალიებია. წინამდებარე სტატია სწორედ ნავთობშემცველი სტრუქტურების ჰიდროგეოქიმიური ანომალიების შესწავლას და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობების განხილვას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ ჰიდროგეოქიმიური ანომალიების გამოვლინების სიმარტივე მათ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ჰიდროდინამიკურ ანომალიებთან შედარებით,

მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ნავთობ-გაზიანობის უფრო სარწმუნო კრიტერიუმად ითვლება. აგრეთვე ნაშრომში აქცენტი ნავთობის თანმხლების მიკროკომპონენტური შედგენილობის შესწავლაზე არის გადატანილი, თუმცა, რა თქმა უნდა, მიკროკომპონენტური შედგენილობა ნავთობის საბადოებთან დაკავშირებული მიწისქვეშა წყლების საერთო ქიმიური შედგენილობისა და მინერალიზაციის ფონზე არის განხილული.

საკვანძო სიტყვები: მიკროკომპონენტები; მიწისქვეშა წყლები; საერთო მინერალიზაცია; წყალშემცველი ჰორიზონტები; ჰიდროგეოქიმიური ანომალიები.

შესავალი

მიმდინარე კვლევის მიზანი არც გეოქიმიური პროცესების ინტერპრეტაციაა, რომლებიც გავლენას ახდენს წყალშემცველი სისტემების წყლის რესურსების გენეზისზე და არც წყლის რესურსებისა და ნავთობის საბადოების ურთიერთკავშირის განსაზღვრა. მიწისქვეშა სამრეწველო წყლების ძებნა-ძიება ხდება მათგან სასარგებლო კომპონენტების მოპოვების მიზნით. სავსებით ნათელია აქცენტი საკითხის პრაქტიკულ მხარეზე, რაც, ბუნებრივია, მეურნეობის საჭიროებებიდან გამომდინარეობს. ეს გარემოება განსაკუთრებით ვრცელდება მიწისქვეშა სამრეწველო წყლებზე, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ნედლეული იშვიათი და ძვირად ღირებული ქიმიური ელემენტების მოსაპოვებლად.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ნავთობის თანმხლები წყლების შესწავლისას მოსალოდნელი შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ორ ძირითად ასპექტს ვითვალისწინებთ:

- დამახასიათებელი მიკროკომპონენტების გამოყენება არაპირდაპირი ქიმიურ-არაორგანული მაჩვენებლების როლში ნავთობის ბუდობების ძიებისას ხელსაყრელ ჰიდროგეოლოგიურ სტრუქტურებში;

- სამრეწველო წყლების საბადოების გამოვლენა, რომლებიც გამდიდრებულია სასარგებლო კომპონენტებით სამრეწველო კონდიციამდე [1].

ცნობილია, რომ სხვადასხვა ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორის ხელსაყრელი შერწყმის შემთხვევაში ასეთი წყლები განიხილება როგორც რენტაბელური სამრეწველო ნედლეული ისეთი ძვირფასი ელემენტების მოსაპოვებლად, როგორცაა იოდი, ბრომი, ლითიუმი, ბორი, სტრონციუმი და სხვ. ცხადია, ამ კუთხით ბუნებრივი წყლების შესწავლისას, პირველ რიგში, ყურადღებას ის წყლები იმსახურებს, რომლებშიც მიკროკომპონენტების შემცველობის მაქსიმალური სიდიდეები არის დაფიქსირებული. ამასთანავე, როგორც ს. ბონდარენკო და გ. კულიკოვი მიუთითებენ [2], მიწისქვეშა წყლის სამრეწველო კატეგორიისთვის მისაკუთვნებლად მასში მიკროკომპონენტების ოპტიმალური კონცენტრაცია კონკრეტულ ჰიდროგეოლოგიურ პირობებზე არის დამოკიდებული და მოითხოვს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორცაა წყალშემცველი ჰორიზონტების წოლის პირობები და გავრცელება, ქიმიური შედგენილობის თავისებურებები, საერთო მინერალიზაცია, ასევე ეკონომიკუ-

რი ფაქტორი აუცილებელი წინაპირობაა მიწისქვეშა მიზნით ქვემოთ ჩამოთვლილი ჭაბურღილებიდან სამრეწველო წყლების გამოყენებისა და შესაბამისი ადგილზე წყლებს ჩაუტარდა ლაბორატორიული ტექნოლოგიური სქემით გადამუშავებისთვის. კვლევა. კვლევის შედეგები მოცემულია 1-ელ ჰიდროქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრის ცხრილში.

ცხრილი 1

დასინჯულ ჭაბურღილებში წყლის ძირითადი მახასიათებლების სიდიდეები

N	წყალპუნქტის ადგილმდებარეობა	წყალპუნქტის ტიპი	pH	EC	TDS	იონები, მგ/ლ								M
						Na + K	Ca	Mg	Cl	HCO ₃	CO ₃	SO ₄	NH ₄	
1	დასავლეთი თალი	N40 ჭაბურღილი	8,23	8,86	6,64	1412	553	37,2	2993	85	24	272	7,8	5,38
2	თელეთი	N55 ჭაბურღილი	6,85	10,11	7,59	1064	758	248	3048	769	–	305	11,5	6,19
3	თელეთი	N60 ჭაბურღილი	7,2	8,81	6,6	1335	405	174	2563	952	–	239	9,8	5,68
4	სამგორი	N76 ჭაბურღილი	8,07	8,53	6,4	1237	453	119,4	2847	73	36	181	7,9	4,95
5	პატარძეული	N139 ჭაბურღილი	8,31	8,09	6,09	1223	486	109,2	2637	87	38	461	6,9	5,04
6	პატარძეული	N144 ჭაბურღილი	8,36	8,09	6,08	1196	311	204,6	2650	85	25	370	14,1	4,84
7	დასავლეთი რუსთავი	N16aZ ჭაბურღილი	8,18	8,67	6,09	913	652	150,6	2664	146	26	313	7,3	4,87
8	კრწანისი	N39 ჭაბურღილი	8,07	8,90	6,68	841	901	189,6	3003	293	24	346	10,3	5,60

ცნობილია, რომ მიწისქვეშა წყლები ცვლადი რაოდენობით გახსნილ მარილებს შეიცავს, ყველაზე მეტად ცვალებადია წყალში გახსნილი აირების რაოდენობა და შედგენილობა. ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებულ შედეგს იძლევა მხოლოდ იმ სინჯების ანალიზი, რომელიც ჭაბურღილების სანგრევზე არის აღებული, იმიტომ რომ ჭაბურღილის პირზე გახსნილი აირების უმეტესი ნაწილი ქროლდება [3].

მიღებული შედეგების თანახმად (სულ რვა სინჯი) ქიმიური შედგენილობის პარამეტრები ძირითადად თანხვედნილია (ცხრილი 1). კერძოდ, ყველა

შემთხვევაში საქმე გვაქვს მომატებული მინერალიზაციის მლაშე, მარილიან წყლებთან, რაც კანონზომიერია ნავთობის თანმხლები წყლებისთვის. მათი საერთო მინერალიზაციის მაჩვენებლები $M = 4.84 \div 6.19$ გ/ლ ფარგლებში თავსდება. თითქმის იდენტურია ქიმიური შედგენილობის ფორმულაც (კურლოვის ფორმულა), რომელიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი ანიონური და კათიონური შემადგენლობით. შესაბამისად, წყლის ტიპი გამოისახება როგორც ქლორიდულ-ნატრიუმთან-კალციუმთან. თელეთის ჭაბურღილებიდან აღებულ წყლებში ქლორიონს ჰიდროკარბონატიონი მოსდევს.

შესწავლილ წყლებში ანიონებიდან მაღალი შემცველობით ქლორი გამოირჩევა, მაქსიმუმი – 3048 მგ/ლ (N55 ჭაბურღილი, თელეთი) და მინიმუმი – 2563 მგ/ლ (თელეთი, N60 ჭაბურღილი). მიწის ქერქში ქლორიდების რაოდენობა შეზღუდულია, მაგრამ, ბუნებრივი წყლების დიდ უმრავლესობაში ქლორიონი მთავარი კომპონენტია. სოდალიტი და აპატიტი, ორად ორი მინერალია, რომლებიც ქლორიდებს ძირითადი კომპონენტის სახით შეიცავს, თუმცა, ეს წყარო სულაც არ არის საკმარისი ქლორის იმ უზარმაზარი რაოდენობის წარმოსაქმნელად, რაც ზღვებსა და ოკეანეებშია. ეს რაოდენობა ასჯერ და მეტჯერ აღემატება იმ სიდიდეს, რომელიც შეიძლება ქანების გამოფიტვის შედეგად დაგროვდეს. სავარაუდოა, რომ ქლორის გარკვეული რაოდენობა ვულკანური გაზებიდან მუდმივად გამოყოფის შედეგად უნდა გადადიოდეს მიწისქვეშა ჰიდროსფეროში. ქლორიდების ქიმიური ბუნებიდან გამომდინარე, თუ ისინი ჰიდროსფეროში ამა თუ იმ რაოდენობით დაგროვდა, მათი გამოთავისუფლება ძალიან ძნელად ხდება.

ნატრიუმის კონცენტრაცია მერყეობს 841 – 1412 მგ/ლ ფარგლებში, ის დომინანტი კათიონია საკვლევ წყლებში. მიწისქვეშა წყალში ნატრიუმი, ძირითადად, პლაგიოკლაზიანი მინდვრის შპატების გამოფიტვის შედეგად გროვდება. კარგი ხსნადობის გამო, ნატრიუმი წყალში კონცენტრირდება ოკეანიდან და ჩაკეტილი აუზებიდან აორთქლების შედეგად.

მიწისქვეშა წყლების ანალიზის შედეგად მიღებული ჰიდროქიმიური მონაცემები ინტერპრეტირებულია კლასიფიკაციის სქემებითა და გრაფიკული გამოსახულების – დიაგრამების გამოყენებით

(სულინის კლასიფიკაცია, პაიპერისა და დუროვის დიაგრამა).


სულინის კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია საყოველთაოდ არის აღიარებული მენავთობე გეოლოგებს შორის. მასში პალმერის კლასიფიკაციის ელემენტებია გამოყენებული. განსახილველი კლასიფიკაციის მიხედვით, ბუნებრივი წყლები ოთხ ტიპად იყოფა. ტიპების გამოყოფა ძირითადი იონების შემცველობების თანაფარდობით ხდება. ტიპები, თავის მხრივ, ამა თუ იმ ანიონის ან კათიონის სიჭარბის შესაბამისად, ჯგუფებად და ქვეჯგუფებად არის დაყოფილი. კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი კოეფიციენტი (მგ.ეკვ.‰-ებით), რომელთაც ავტორი გენეტიკურ კოეფიციენტებს უწოდებს [4]:

$$\frac{rNa}{rCl}; \frac{rNa-rCl}{rSO_4}; \frac{rCl-rNa}{rMg}.$$

ტერმინი „გენეტიკური კოეფიციენტი“ ავტორს შემოაქვს იმ მოსაზრებით, რომ ეს კოეფიციენტები პასუხობს წყლის ქიმიური შედგენილობის ფორმირების და მიწის ქერქში მათი არსებობის ბუნებრივ პირობებს. თუ, $\frac{rNa}{rCl}$ კოეფიციენტი ერთზე მეტია, ანუ ნატრიუმის შემცველობა ქლორის შემცველობას აღემატება, მაშინ ნატრიუმის ჭარბი რაოდენობა ან ჰიდროკარბონატს (HCO_3^-) უნდა დაუკავშირდეს, ან სულფატს (SO_4^{2-}). შესაბამისად, წყალი იქნება ან ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი, ან სულფატურ-ნატრიუმიანი. ანალოგიური მსჯელობით ადვილად გავარკვევთ ქლორ-მაგნიუმიანი და ქლორ-კალციუმიანი ტიპების ფორმირების პირობებს.


სულინის კლასიფიკაციის გრაფიკული გამოსახულება წარმოადგენს ერთმანეთთან წვეროებით შეუღლებულ ორ კვადრატს, რომელთა გვერდებზე გადაზომილია გენეტიკური კოეფიციენტების მრიცხველებისა და მნიშვნელების სიდიდეები (მგ.კვ.%-ებით). ანიონის სიჭარბის მიხედვით, ტიპი სამი ჯგუფად იყოფა – ქლორიდული, სულფატური და ჰიდროკარბონატული წყლების ჯგუფები. გამოიყოფა აგრეთვე ქვეჯგუფებიც ამა თუ იმ კათიონის სიჭარბის მიხედვით, მაგრამ მათი განხილვის საჭიროება აქ არ არის. სულინი მიიჩნევა, რომ წყლების ქიმიური შედგენილობის ფორმირებას დედამიწაზე არსებული სამი ბუნებრივი გარემო განაპირობებს: კონტინენტური, ზღვიური და მიწისქვეშა. ზღვიური გარემოს ნიშან-თვისებაა წყალში ზღვისთვის დამახასიათებელი მარილების არსებობა, კერძოდ, მაგნიუმის ქლორიდისა, რომელიც დროში უფრო მეტად სტაბილურია (მუდმივია). ამის გამო, ზღვიური ტიპის წყალს ავტორი ქლორ-მაგნიუმის აკუმულაციას აკუთვნებს. კონტინენტურ პირობებში ქიმიური შედგენილობის ფორმირების პროცესში ადგილი აქვს ზღვიური წარმოშობის მიწისქვეშა წყლების მეტამორფიზმს. შედეგად, წყლის მარილოვან შედგენილობაში წამყვან ადგილს სულფატები იკავებს, რომლებიც თაბაშირიან (ანჰიდრიტიან) წყებებში არიან კონცენტრირებული. შემცველი ქანების შემდგომი გარეცხვისა და წყალცვლის გააქტიურების კვალობაზე, სულფატური შედგენილობის წყლები ჰიდროკარბონატული წყლებით იცვლება. ამრიგად, გამოდის, რომ ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის და სულფატურ-

ნატრიუმის წყლები ქიმიური შედგენილობის ფორმირების კონტინენტურ გარემოს შეესაბამება (სქემაზე ზედა კვადრატი), ქლორ-მაგნიუმის ტიპი – ზღვიურ გარემოს, ხოლო ქლორ-კალციუმის – ნავთობის ბუდობის ფორმირებისთვის ხელსაყრელ სიღრმულ (აღდგენით) გარემოს (ქვედა კვადრატი). სიღრმული გარემოს პირობებში წყალში კალციუმის ქლორიდის დაგროვება კათიონური გაცვლის შედეგია, რომელიც წყალში არსებულ ნატრიუმის იონებსა და ქანის შთანთქმულ კომპლექსში არსებულ კალციუმის იონებს შორის შემდეგი რეაქციით მიმდინარეობს:



ჩვენ მიერ გამოკვლეული ყველა წყალი სულინის კლასიფიკაციით ქლორიდულ-კალციუმის წყლების კატეგორიაში ხვდება. ეს საერთო ქიმიური შედგენილობითაც ტიპური ნავთობის წყლებია. ასე რომ, წყლების გენეტიკური კავშირი ნავთობთან ეჭვგარეშეა (პრინციპში არც იყო კვლევის მიზანი), რადგან სივრცობრივად ნავთობშემცველ სტრუქტურასთან არის დაკავშირებული და მოიცავს შუაეოცენურ ტუფოგენებში არსებულ ნავთობის ბუდობს. ქლორიდულ-კალციუმის (სულინის მიხედვით) ქიმიური შედგენილობა, სიღრმული გეოქიმიური გარემოსთვის არის დამახასიათებელი.

Piper Diagram, რომელიც შედგება ანიონისა და კათიონის სამკუთხედებისგან, მათ შორის “ალმასის” ფორმისგან [5] პაიპერის სამხაზოვანი დიაგრამის მიხედვით (სურ. 1), წყალი შვიდ ტიპად კლასიფიცირდება.




სურ. 1. მიწისქვეშა წყლების ჰიდროქიმიური დასინჯვის გამოსახვა პაიპერის დიაგრამით.

დიაგრამიდან ჩანს, რომ საკვლევ რაიონში გამოვლინდა მიწისქვეშა წყლების ორი ტიპი:

- მიწისქვეშა წყლების სამი სინჯი (NN55; 39; 16) აღმოჩნდა E-კლასში, როგორც ტუტე წყალი, ტუტეების გაზრდილი ნაწილით დომინანტი ქლორიდითა და სულფატით ($Ca - Mg - Na - Cl - SO_4$).
- დასინჯული მიწისქვეშა წყლების სინჯების უმეტესობა არის G-კლასში, მიეკუთვნება თითქმის იმავე კლასს, როგორც ტუტე წყალი კვლავ დომინანტია ქლორიდი და სულფატი ($(Na + K) - Cl - SO_4$).

დუროვის დიაგრამა არის კომპოზიციური ნახაზი, რომელიც შედგება 2 სამეული დიაგრამისგან, სადაც ინტერესის კათიონები გამოსახულია ინტერესის ანიონებთან. გვერდები ქმნიან ორობით ნახაზს მთლიანი კათიონის წინააღმდეგ, საერთო ანიონის კონცენტრაციის წინააღმდეგ [6]; გაფართოებული ვერსია მოიცავს TDS (მგ/ლ) და pH მონაცემებს, რომლებიც დამატებულია ორობითი ნაკვეთის გვერდებზე შემდგომი შედარების დასაშვებად. დუროვის დიაგრამის მთავარი მიზანია მონაცემთა წერტილების დაჯგუფება, რომლებიც აჩვენებენ ნიმუშებს მსგავსი ქიმიური ნივთიერებით.




დასინჯული სინჯები გამოსახულია ველში, სადაც დომინანტია Cl და Na .

თუ მიღებულ სიდიდეებს შევადარებთ ამა თუ იმ იონის შემცველობას ოკეანის წყალსა და მიწის ქერქში ნათლად ჩანს, ლითიუმის, მანგანუმის, ბორისა და რკინის შემთხვევაში საგრძნობი სიჭარბე. ზოგადად ითვლება, რომ მიწისქვეშა წყალი, რომელშიც ამა თუ იმ ელემენტის კონცენტრაციის კოეფიციენტი ერთზე მეტია (ფაქტობრივი სიდიდის შეფარდება ოკეანის წყლის შემცველობასთან ან კლარკთან), ამ ელემენტის პოტენციური საბადოა.

სამრეწველო წყლების საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაცია არ არსებობს. ვინაიდან მათი ძირითადი მაჩვენებელი არის სასარგებლო კომპო-

ნენტის შემცველობა, სახელსაც ამის მიხედვით არქმევენ (იოდინი, ბრომიანი, და სხვ.).

საინტერესოა სხვა პირობებში ბორის ქცევის სხვა თავისებურებანი. დადგენილია, რომ დაბალ ტემპერატურაზე B_2O_3 შეიძლება განიდევენოს CO_2 -ის მიერ, მაღალ ტემპერატურაზე სურათი შებრუნებულია. გამოფიტვისას შეიძლება დავინახოთ ბორატების კარბონატებით ჩანაცვლების მოვლენები, როგორც ეს დადგენილი იყო ბორატებისათვის ინდერის საბადოში (კასპიის ზღვის ჩრდილოეთით), მეორე მხრივ, კონტაქტ-მეტასომატურ საბადოებში ცნობილია კირქვების ჩანაცვლების გზით წარმოქმნილი ბორატების შემთხვევები.



დასინჯულ წყლებში მიკროკომპონენტების შემცველობა.

ბორი იმ ელემენტთა რიცხვში შედის, რომლებიც Cl -ის, OH -ისა და განსაკუთრებით მასთან დიდად მონათესავე F -ის შემცველ წყალხსნარებში საკმაოდ მოძრავნი არიან. ამის გამო ბორის ნაერთების კონცენტრაცია იმატებს და წარმოიქმნება ამა თუ იმ გეოლოგიური პროცესის ნარჩენ პროდუქტებში, ნაწილობრივ პეგმატიტებსა და ჰიდროთერმულ წარმონაქმნებში (ორთობორატები, ბორსილიკატები), მაგრამ უმთავრესად ბორით გამდიდრებულ მარილშემცველ აუზებში (პოლიბორატები, იშვიათად წყლიანი ბორსილიკატები [7].

ბორაქსი გვხვდება მსოფლიოში ყველაზე დიდ ევზოგენურ ბორის საბადოებში (ბორონი, კალიფორნია; კირკა, თურქეთი და ტინკალაიუ, არგენტინა) ბორი ასევე მიიღება სერლის ტბიდან (აშშ). ზღვის წყალში ბორის საშუალო შემცველობა 4.5 მგ/ლ

შეადგენს, ხოლო მიწისქვეშა წყლების უმეტესობაში ბორის კონცენტრაცია 1.0 მგ/ლ-ზე დაბალია [8]. ნახსენებ სტატიაში პოლონეთის ტერიტორიაზე დასინჯულ იქნა 248 სამკურნალო წყლები, როგორც ბუნებრივი წყაროებიდან, ისე ქაბურღილებიდან. წყლებში ბორის შემცველობა იცვლება ფართო დიაპაზონში, რომლებიც დაყოფილი აქვთ 5 მგ/ლ-მდე, 5-25 მგ/ლ-მდე, და 25 მგ/ლ-ზე მეტი. ცხრილში ნაჩვენებია ადგილმდებარეობა, წყლის ტიპი, TDS, წყალბადიონების კონცენტრაცია, ბორმჟავას და ბორის შემცველობები, მგ/ლ-ობით. ბორის შემცველობა იცვლება $27,22 \div 187,65$ მგ/ლ.

ჩვენ მიერ დასინჯულ წყლებში ბორის შემცველობა ვარიებს $9 \div 120$ მგ/ლ ფარგლებში. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე დასინჯულია 248 წყლის სინ-

ჯი, ჩვენ მიერ კი – 8 სინჯი. თუმცა, პოლონელი მეცნიერები დასკვნის სახით აღნიშნავენ, რომ მიწისქვეშა წყლებიდან ბორის მიღება პერსპექტიული უბნის გამოყოფით შესაძლებელია.

მიწისქვეშა წყლებში ელემენტთა მიგრაციის უნარის რაოდენობრივი გამოხატულება არის ე.წ. წყლოვანი მიგრაციის კოეფიციენტი (K_x), რომლის ცნება გეოქიმიკაში შემოიტანა ა. პერელმანმა. ავტორის განმარტებით ამ კოეფიციენტს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: აქტიური ცირკულიაციის წყლები-სათვის იგი ახასიათებს მიგრაციის ინტენსიურობას,

ხოლო გაძნელებული ცირკულიაციის წყლების შემთხვევაში – წყალში მოცემული მიკროკომპონენტის დაგროვების ინტენსიურობას. K_x -ის სი-

დიდე გამოითვლება ფორმულით: $K_x = \frac{m_x \times 100}{a \times n_x}$,

სადაც, m_x არის რომელიმე X ელემენტის წყალში შემცველობა, გ/ლ; a – წყლის საერთო მინერალიზაცია, გ/ლ; n_x – X ელემენტის პროცენტული შემცველობა წყალშემცველ ქანში ან ლითოსფეროში (კლარკი) [9].

ცხრილი 2

ნავთობის წყლებში მიკროკომპონენტების წყლოვანი მიგრაციის სიდიდეები

წყალუნქტის ადგილმდებარეობა	წყალუნქტის ტიპი	B			ელემენტის შემცველობა ლედამიწის ქერქში, % კლარკი	საერთო მინერალიზაციის სიდიდე, გ/ლ	კონცენტრაციის კოეფიციენტი	mX100	aXn	წყალში მიგრაციის კოეფიციენტი
		მგ/ლ	გ/ლ	%						
დასავლეთ თალი	N40 ჭაბურღილი	36,00	0,0360	0,0036	0,001	5,38	3,600	3,600	0,005	669,145
თელეთი	N55 ჭაბურღილი	120,00	0,1200	0,0120	0,001	6,19	12,000	12,000	0,006	1938,611
თელეთი	N60 ჭაბურღილი	100,00	0,1000	0,0100	0,001	5,68	10,000	10,000	0,006	1760,563
სამგორი	N76 ჭაბურღილი	47,00	0,0470	0,0047	0,001	4,95	4,700	4,700	0,005	949,4949
პატარბეული	N139 ჭაბურღილი	41,00	0,0410	0,0041	0,001	5,05	4,100	4,100	0,005	811,8812
პატარბეული	N144 ჭაბურღილი	42,00	0,0420	0,0042	0,001	4,84	4,200	4,200	0,005	867,7686
დასავლეთ რუსთავი	N16aZ ჭაბურღილი	18,00	0,0180	0,0018	0,001	4,87	1,800	1,800	0,005	369,6099
კრწანისი	N39 ჭაბურღილი	9,00	0,0090	0,0009	0,001	5,6	0,900	0,900	0,006	160,7143

ზოგადად ითვლება, რომ მიწისქვეშა წყალი, რომელშიც ამა თუ იმ ელემენტის კონცენტრაციის კოეფიციენტი (ფაქტობრივი სიდიდის შეფარდება ოკეანის წყლის შემცველობასთან ან კლარკთან) ერთზე მეტია, ამ ელემენტის პოტენციური საბადოა რა თქმა უნდა, სხვა მრავალი ანთროპოგენური და ბუნებრივი ფაქტორების გათვალისწინებით. დასინჯულ წყლებში კონცენტრაციის კოეფიციენტი გარდა ერთი შემთხვევისა (კრწანისი, N39 ჭაბურღილი) საკმაოდ აღემატება ერთს.

ბორის შემთხვევაში მიგრაციის კოეფიციენტი შესამჩნევად მაღალია, რაც იმაზე, მიუთითებს, რომ ბორის მიგრაციისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობს.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მიკროელემენტების ჰიდროსფეროში დაგროვებისა და მიგრაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ელემენტის რაოდენობრივ შემცველობას ქანში, რამდენადაც არსებობს ამა თუ იმ ფორმას, რაც განაპირობებს კონკრეტულად აღებული მიკროკომპონენტების მდგრადობას და მყარი ფაზიდან თხევად ფაზაში გადასვლის უნარს [10]. ცხადია, ლითოსფეროს ზედა ფენებში, არაღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლებში, მიწისზედა ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროში გაფანტული მიგრაციის თავისებურებები ძალიან მჭიდრო კავშირშია ნიადაგებში მიკროელემენტების გავრცელების კანონზომიერებებთან.

დასკვნა

დასინჯული წყლები ბორის შემცველობის თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს საშუალო ხარისხის სამრეწველო წყლად, მაგრამ ცალკე განხილვის საკითხია მისი მოპოვება და რენტაბელურობა რამდენადაა შესაძლებელი. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ფუჭი ქანებიდან და კუდსაცავებიდან უკვე მიმდინარეობს ხელახლა ამოწვლილვა, რომელიც წინა წლებში არ ითვლებოდა რენტაბელურად.

იშვიათ ქიმიურ ელემენტებზე მზარდი მოთხოვნილებისა და ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში სამრეწველო წყლების საბადოების ექსპლუატაცია მათი შემდგომი გადამუშავებით შორეული მომავლის საქმე არ არის. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი პროდუქტიული წყალშემცველი ჰორიზონტების გადარიბების თავიდან აცილების შესახებ, რასაც ადგილი აქვს ნავთობისა და გაზის საბადოების ექსპლუატაციის პროცესში. ფენის წნევის შენარჩუნების მიზნით მტკნარი წყლის ჭაბურღილში ჩაჭირხვნას, როგორც წესი, თანმხლები ფენტაშორისი წყლის ქიმიური შედგენილობის მკვეთრი ცვლილება მოსდევს, მათ შორის, ამ წყლებში მიკროკომპონენტების შემცველობების შემცირების თვალსაზრისით.

ლიტერატურა

1. Zviadadze, U. I. (1992). *Microcomponents of underground waters of Georgia as geochemical indicators of oil and gas content of hydrogeological structures and conditions for the formation of mineral waters*. 350 Art. [Doctoral Dissertation].;
2. Bondarenko, S., Kulikov, G. (1984). *Underground industrial waters*. Moscow: Nedra. (In Russian);
3. Zautashvili, B., Mkheidze, B. (2011). *Hydrogeology of Georgia*. Tbilisi: Technical University. (In Georgian);
4. Ovchinnikov, A.I. (1970). *Hydrogeochemistry*. Moscow: Nedra. (In Russian);
5. Freeze, R.A., Cherry, J.A. (1979). *Groundwater*. USA: Prentice-Hall Inc.;
6. Rotár-Szalkai, A., Nádor, A., Szócs, T., Maros, G., Goetzl, G., Zekiri, F. (2017). Outline and joint characterization of transboundary geothermal reservoirs at the western part of the Pannonian basin. *Geothermics* 70(1-16).
7. Betekhtin, A.G. (1964). *A Course in Mineralogy*.
8. Chruszcz-Lipska, K., Winid, B., Madalska, G. A., Macuda, J., & Łukańko, Ł. (2020). High Content of Boron in Curative Water: From the Spa to Industrial Recovery of Borates? (Poland as a Case Study). *Minerals*, 11(1).;
9. Gol'dberg, V. M. (1985). *Identification of areas of pollution of underground waters. Exploration and protection of mineral resources*.;
10. Zautashvili, B.Z. (1978). *Geochemistry of microelements of deep underground waters of Georgia*. Tbilisi: Metsniereba. (In Georgian).

UDC 55

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-35-46>

Hydrogeochemistry of Oil-bearing Waters Study of Indicators for Industrial Use

Marine Mardashova Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava Str.
E-mail: m_mardashova@gtu.ge

Tamar Razmadze-Brokishvili Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava Str.
E-mail: t_razmadze@gtu.ge

Tamar Mikava Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava Str.
E-mail: t.miqava@gtu.ge

Reviewers:

N. Khundadze, Professor, Faculty of Mining and Geology, GTU

E-mail: n.khundadze@gtu.ge

N. Zautashvili, Associated Professor, Faculty of Mining and Geology, GTU

E-mail: zautashvilinana03@gtu.ge

Abstract. The use of hydrogeological indicators is very important when assessing the oil content of individual aquifers. There are many hydrogeological criteria, and one of the most important ones is the anomalies characteristic of oil fields. The present article is dedicated to the study of hydrogeochemical anomalies of oil-bearing structures and the possibility of their use in practice. It should be noted that the ease of detection of hydrogeochemical anomalies gives them a certain advantage compared to hydrodynamic anomalies. Also, in the paper, the emphasis is on the study of the microcomponent composition accompanying the oil, although the microcomponent composition is considered of the general chemical composition and mineralization of the groundwater associated with the oil fields.

Keywords: aquifer horizons; common mineralization; groundwater; hydrogeochemical anomalies; microcomponents.

განხილვის თარიღი 20.01.2022

შემოსვლის თარიღი 01.02.2023

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.2023

UDC 622.72

SCOPUS CODE 2201

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-47-54>

მადნეულის სპილენძის მადნების მამდიდრებელი ფაბრიკების მიმდინარე კუდების კომბინირებული ტექნოლოგიით დამუშავების საკითხები

ნანა ჯიქია	შპს კავკასიის სამთო ჯგუფის ქიმიურ-ანალიტიკური ლაბორატორია, საქართველო, 1100, ბოლნისი, დავით აღმაშენებლის 2 E-mail: njikia@cmg.ge
დემურ ტალახაძე	სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: talaxadzedemur03@gtu.ge
ანზორ აბშილავა	სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: a.abshilava@gtu.ge

რეცენზენტები:

რ. ენაგელი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: enageliroin03@gtu.ge

ა. გიგინეიშვილი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: gigineishviliavtandil03@gtu.ge

ანოტაცია. მადნეულის სპილენძის მადნის მამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც ექსპლუატაციაშია 1975 წლიდან, გადაამუშავებს მადნეულისა და საყდრისის საბადოების სპილენძ-კოლჩედანურ მადნებს. მადნები წარმოდგენილია სპილენძის პირველადი და მეორადი სულფიდებით. ზოგიერთ მადანში სპილენძის მეორადი სულფიდების დიდი რაოდენობისა და მათი ჩაწინწკულობის სირთულის გამო, სასაქონლო პროდუქციაში სპილენძის ამოკრევის

პროცენტი მცირეა – არ აღემატება 65-70%-ს. ასევე მცირეა ოქროს ამოკრევის პროცენტი – 50-60%. ასეთი მადნების გადამამუშავების შედეგად ფაბრიკიდან მიღებულ კუდებში სპილენძის შემცველობა 0,17-0,19%-ს აღწევს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ოქროს შემცველობაც (0,3-0,6 გ/ტ). სტატიაში მოცემულია ფაბრიკიდან მიღებული მდიდარი კუდების გადამამუშავების კომბინირებული ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მათ წინასწარ გამდიდრებას გრავიტაციული მეთოდით (ცენტრი-

დანულ კონცენტრატორებში მოკლეკონუსიან ჰიდროციკლონებში), მიღებული გრავიტაციული კონცენტრატის, რომელშიც ოქროსა და სპილენძის შემცველობა შესაბამისად არის 5,29გ/ტ და 1,56% ჰიდრომეტალურგიული მეთოდით (გამოტუტვა და დაციანება) გადამუშავებას. აღნიშნული ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ სასაქონლო პროდუქციაში ოქროსა და სპილენძის ამოკრეფა, შესაბამისად 20–25 და 17–20%-ით.

საკვანძო სიტყვები: ამოკრეფა; გამოტუტვა; გრავიტაციული კონცენტრატი; დაციანება; კევი; პულპის pH; ტუტე არე; ფლოტაცია; ფლოტაციური რეაგენტები; შემცველობა; ჩაწინწკლული; ძირითადი ფლოტაცია.

შესავალი





მადნეულის სპილენძის მამდიდრებელი ფაბრიკა ამჟამად ამუშავებს მადნეულისა და საყდრისის საბადოების სპილენძ-კოლჩედანურ მადნებს. მადნებში მადნეული მინერალები წარმოდგენილია სპილენძის პირველადი (ქალკოპირიტი) მეორადი (კოველინი და ქალკოზინი) და რკინის (პირიტი) სულფიდებით. არამადნეული მინერალები ძირითადად წარმოდგენილია კვარცით, გვხვდება თიხაფიქლები, სერეციტი, ალუმინსილიკატები.

მადნეულისა და საყდრისის საბადოების მადნები მიეკუთვნება ოქროს შემცველ მდგრად მადნებს. ოქრო 80–85% წმინდად ემულსიურად არის ჩაწინწკლული სულფიდებში, განსაკუთრებით პირიტსა და ქალკოპირიტში. მცირე რაოდენობით გვხვდება თავისუფალი სახით და კვარცში.

მადნის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს კარიერებიდან მიღებული მადნის (სისხოთი 1100-1200 მმ) სამსტადიურ დამსხვრევას – პირველ სტადიაში ყბებიან, მეორე და მესამე სტადიებში კონუსურ სამსხვრეველებში; დამსხვრეული მასალის $P_{80}=25\text{მმ}$, სამსტადიური დაფქვისას $P_{80}=0,150\text{მმ}$ დაფქული მასალის ძირითად საკონტროლო და სამგადაწმენდით ფლოტაციას. სპილენძის კონდიციური კონცენტრაციის მიღების მიზნით ტექნოლოგიური სქემა პირდაპირ სელექციურია, რკინის სულფიდების (პირიტის) დეპრესიით, პულპის pH-ის მაღალი (12–12,5) მნიშვნელობის დროს. ოქროს ამოკრეფა კონცენტრატში ხდება თანამდევ მინერალებთან ერთად.

ძირითადი ნაწილი

მადნეულის საბადოზე მეორადი სულფიდები მიიღება მეორადი სულფიდური გამდიდრების ზონაში ჟანგბადის არარსებობისას გრუნტის წყლების ქვედა დონეზე: პირიტზე (FeS_2) ქალკოპირიტზე (CuFeS_2) სფალერიტზე (ZnS) სპილენძის აჯასპის (CuSO_4) ხსნარის მოქმედების შედეგად. რეაქციებს შემდეგი სახე აქვს:



სულფიდურ მინერალზე, განსაკუთრებით პირიტზე, რომელიც დიდი რაოდენობით გვხვდება მადნებში სპილენძის აჯასპის ზემოქმედების შედეგად სულფიდი მთლიანად ან ნაწილობრივ ჩანაცვლდება.

სრული ჩანაცვლების შემთხვევაში მიიღება სპილენძის სუფთა მეორადი სულფიდები CuS, Cu_2S , ხოლო არასრული ჩანაცვლების შემთხვევაში – მინერალი, რომელიც წარმოდგენილია ნაწილობრივ სპილენძის მეორადი სულფიდით და ნაწილობრივ პირიტით, ანუ პირიტი დაფარულია თხელი (რამდენიმე მიკრომეტრის ზომით) ქალოზინის ან კოველინის აფსკით. ასეთი მინერალის ფლოტაციის შედეგად პირიტის მინერალის დეპრესიისას კუდებში პირიტის მინერალთან ერთად გადადის სპილენძის მეორადი სულფიდები. ეს უკანასკნელი განაპირობებს კუდებში სპილენძის დიდ კარგვას და, შესაბა-

მისად, სპილენძის კონცენტრატში სპილენძის მცირე ამოკრეფას. გახსნის ხარისხის გაზრდის მიზნით სასურველ შედეგს ვერ იძლევა კუდების ხელმეორედ დაფქვა და ფლოტაცია.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სპილენძისა და ოქროს შედარებით მდიდარი კუდების გრავიტაციულ გამდიდრებას და გრავიტაციული კონცენტრატის ჰიდრომეტალურგიული მეთოდით გადამუშავებას.

ცდებისათვის ავიღეთ ფაბრიკის ფლოტაციის კუდები, რაოდენობით 75კგ. სინჯის გრანულომეტრიული შედგენილობა მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

ფლოტაციური კუდების გრანულომეტრიული შედგენილობა

№	კლასის ზომა, მმ-ობით	გამოსავალი, %	შემცველობა %, გ/ტ		ამოკრეფა	
			Cu	Au	Cu	Au
1	0,400-0,200	11,09	0,12	0,43	7,0	8,53
2	0,200-0,100	19,6	0,11	0,46	11,35	16,1
3	0,100-0,074	17,21	0,19	0,82	17,67	25,20
4	0,074-0,044	30,7	0,25	0,49	40,39	26,86
5	-0,44	21,4	0,24	0,61	27,03	23,31
6	საერთო	100	0,19	0,56	100	100

როგორც ცხრილიდან ჩანს, სპილენძის შემცველობა ყველაზე მაღალია წვრილ კლასებში 0,074-0,044 და -0,44 მმ შესაბამისად 0,25 და 0,24%, ხოლო ოქროს შემცველობა ყველაზე მაღალია 0,1-0,074 მმ კლასში 0,84 გ/ტ.

გრავიტაციული მეთოდით კუდები გამდიდრდა „ИТОМАК-01“ ცენტრიდანულ კონცენტრატორზე. ცდების გასაშუალოებული შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ფლოტაციური კუდების გრავიტაციული მეთოდით გამდიდრების შედეგები

№	პროდუქტის დასახელება	გამოსავალი, %		შემცველობა %, გ/ტ		ამოკრეფა		საერთო ჯამი	
		ოპერაც.	საერთო	Cu	Au	Cu	Au	Cu	Au
1	გრავიტ. კონც.	7,61	7,42	1,56	5,29	61,1	71,95	21,43	31,65
2	კუდები	92,39	90,08	0,08	0,17	38,90	28,05	12,87	12,38
3	ფლოტაციური კუდები	100	97,5	0,19	0,56	100	100	34,30	44,03

ამრიგად, კუდების გრავიტაციული მეთოდით გამდიდრების შედეგად მიიღება გრავიტაციული კონცენტრატი გამოსავლით 7,42%, სპილენძის შემცველობით 1,56%, ოქროს შემცველობით 5,29 გ/ტ. ოქროს ამოკრეფა კონცენტრატში ოპერაციიდან შეადგენს 71,95%-ს, ხოლო საერთო ამოკრეფა 31,65%-ია.

გრავიტაციული კონცენტრატის მინერალოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მადნეული მინერალები ძირითადად წარმოდგენილია პირიტით. სპილენძის მინერალებიდან გვხვდება ქალკოპირიტი და ქალკოზინი.

გამდიდრების შედეგად მიღებული გრავიტაციული კონცენტრატის გადამუშავებისას განისაზღვრება ორი მიმართულება:

- გრავიტაციული კონცენტრატის ფლოტაცია,
- გრავიტაციული კონცენტრატის ჰიდრომეტალურგიული გადამუშავება.

I. გრავიტაციული კონცენტრატის ფლოტაცია
ფლოტაციური მეთოდით გრავიტაციული კონცენტრატის გამდიდრებაზე კვლევები ჩატარდა კლასიკური სქემით: განისაზღვრა დაფქვის ოპტიმალური სისხო, რეაგენტის სახეობა და ხარჯი, საფლოტაციო პულპის pH-ის ოპტიმალური მნიშვნელობა, ფლოტაციის კინეტიკა, ფლოტაციის ციკლის სახეობა და რაოდენობა.

ცდების შედეგად დადგინდა ფლოტაციის ოპტიმალური ტექნოლოგია, დაფქვის ოპტიმალური სისხო 82–83%, კლასი – 0,074მმ, შემკრები რეაგენტები – ბუთილის ქსანტოგენატი და Aero-208 შესაბამისად ხარჯით 35 გ/ტ და 15 გ/ტ. ძირითადი, საკონტროლო და ორი გადაწმენდითი ფლოტაციით, პულპის pH – 12,6.

ოპტიმალურ პირობებში ჩატარებული ცდების შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

გრავიტაციული კონცენტრატის ფლოტაციის შედეგები

№	პროდუქტის დასახელება	გამოსავალი, %	შემცველობა %, გ/ტ		ამოკრეფა	
			Cu	Au	Cu	Au
1	ფლოტაციური კონც.	0,61	10,3	30,71	11,6	15,11
2	ფლოტაციური კუდები	6,81	0,78	3,01	9,83	16,54
3	გრავიტ. კონც.	7,42	1,56	5,29	21,43	31,65

როგორც ცხრილიდან ჩანს, გრავიტაციული პროდუქტის ფლოტაციური მეთოდებით გამდიდრების შედეგად მიიღება სპილენძის არაკონდიციური კონცენტრატი სპილენძის შემცველობით 10,3%. დაბალია როგორც სპილენძის, ისე ოქროს ამოკრეფა.

II. გრავიტაციული კონცენტრატის ჰიდრომეტალურგიული გადამუშავება

გრავიტაციულ კონცენტრატზე სპილენძის შემ-

ცველობით 1,56% ოქროს შემცველობით 5,29გრ/ტ ჩატარდა კვლევები ჰიდრომეტალურგიული ტესტებით, სორბციულ რეჟიმში (CIL) სორბენტის ჩატვირთვის გარეშე.

ტესტის მიმდინარეობისას განისაზღვრებოდა ხსნარში NaCN-ის კონცენტრაცია, ჟანგბადის რაოდენობა და პულპის pH-ის მნიშვნელობა. გამოტუტვის პარამეტრები მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

გრავიტაციული კონცენტრატის დაცინების პარამეტრები

№	პარამეტრები	გაზომვის ერთეული	მნიშვნელობა
1	NaCN-ის კონც.	გ/ლ	0,23
2	პულპის pH	-	11-11,5
3	ხსნარში გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაცია	მგ/ლ	6,8
4	პულპის ტემპერატურა	°C	20
5	პულპაში მყარის შემცველობა	%	37
6	დაცინების ხანგრძლივობა	სთ	48
7	სორბენტის სახეობა	-	აქტიური ნახშირი
8	სორბენტის რაოდენობა	გრ/ლ	18


ტესტის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ 24 საათის განმავლობაში დაცინებისას (ბოთლის ტესტი) დარჩენილ კვში ოქროს რაოდენობა შეადგენდა 1,92 გ/ტ, საწყისში 5,29 გ/ტ. შესაბამისად, ოქროს ამოკრეფა შეადგენს 63,6%-ს, ციანიდის ხარჯი – 5,7–6,1 კგ/ტ.

დაცინების პროცესში ოქროს მცირე ამოკრეფა – 63,6% და ციანიდის დიდი ხარჯი 5,7 – 6,1 კგ/ტ განპირობებულია გრავიტაციულ კონცენტრატში სპილენძისა და რკინის სულფიდების დიდი შემც-


ველობით, შესაბამისად 1,56% და 5,6%, რომლებიც ციანიდებთან წარმოქმნის ციანიდის კომპლექსურ ნაერთებს და, შესაბამისად, იზრდება ციანიდის ხარჯი.

სპილენძისა და ოქროს სრულყოფილი ამოკრეფისთვის შესამუშავებელი ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს გრავიტაციული კონცენტრატის წინასწარ გამოტუტვას სპილენძისა და რკინის ხსნარში გადაყვანით და გამოტუტვის შედეგად მიღებული ნარჩენების დაცინებას.

ჰიდრომეტალურგიული გადამუშავების პირველი ეტაპი ითვალისწინებს გრავიტაციული კონცენტრატის როფულ გამოტუტვას. კონცენტრატი დაიფქვა 0,04მმ-მდე. დაფქული მასა მოთავსდა ჭურჭელში მოცულობით 25 ლიტრი. პულპის სიმკვრივე – 12 %. პულპას დაემატა 2 გ/ლ გოგირდმჟავა ოზონისა და ჟანგბადის ნარევი – 85 გ/ლ და წყალბადის ზეჟანგი. პულპა ცხელდება 85°C-მდე. გამოტუტვის ხანგრძლივობაა 72 საათი. გამოსატუტ მასალაში პირიტის ფარდობა სპილენძის სულფიდებთან არის 10:1. პულპის pH-ის მნიშვნელობა 1,5–2-ია. გამოტუტვა მიმდინარეობს შემდეგი რეაქციით:



გამოტუტვის შედეგად ხსნარში სპილენძის იონების შემცველობა 15 გ/ლ შეადგენს. ქიმიური ანალიზით სპილენძის შემცველობა მასაში არის 0,91%, ხოლო გამოტუტვის შედეგად სპილენძის შემცველობაა 0,06%, ამოკრეფით – 93,5%.



ხსნარიდან სპილენძის იონების დალექვისათვის გამოყენებულ იქნა ფოროვანი რკინა ხარჯით 1 კგ სპილენძზე 1,7 კგ რკინა.

გამოტუტვის შედეგად დარჩენილი ნალექის გამოტუტვა (დაციანება)

გამოტუტვის შედეგად დარჩენილი ნალექის შემდეგი დამუშავებისთვის შედარების თვალსაზრისით გამოყენებული იყო ორი ვარიანტი:

ა) ნალექის დამუშავება კლასიკური სქემით – ციანირება ე.წ. ბოთლის ტესტი.

ბ) ნალექის დამუშავება თიოშარდოვანით, ასევე ბოთლის ტესტი.

ოქროს ნალექიდან გამოტუტვის ციანირების პროცესმა აჩვენა შემდეგი შედეგები: ოქროს ამოკრეფა – 92,1 %, კირის ხარჯი – 3,5-4,0 კგ/ტ; ციანიდის ხარჯი – 0,7-0,8 კგ/ტ.

მჟავე არეში თიოშარდოვანით გამოტუტვისას (Fe^{3+} და H_2SO_4 -ის თანაობისას) ოქროს ამოკრეფა შედარებით მაღალია – 95,0–95,3%. ამ ორი მეთოდის შედარება აჩვენებს, რომ ერთის მხრივ, მართალია თიოშარდოვანის გამოტუტვისას მიიღება 3,0–3,2% -ით ოქროს მაღალი ამოკრეფა, მაგრამ არაერთი ტექნოლოგიური და ეკოლოგიური პრობლემის გამო, მხედველობაში გვაქვს მჟავა არის გამოყენება აპარატურული გაფორმების თვალსაზრისით ადსორბცია/დესორბციის სირთულეები და თიოშარდოვანის საკმაოდ დიდი მდგრადობა დაშლისადმი, უპირატესობას ვანიჭებთ ციანიდების კლასიკურ ვარიანტს, ე.წ. CIL-ს.

დასკვნა

ამრიგად, მადნეულის სპილენძის მადნების მამდიდრებელი ფაბრიკის მიმდინარე კუდებიდან (სპილენძის შემცველობით 0,19%, ოქროს შემცველობით 0,56 გ/ტ), ოქროსა და სპილენძის დამატებითი ამოკრეფის მიზნით შემუშავებული და გამოცდილია კომბინირებული ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ფლოტაციური კუდების გრავიტაციულ გამდიდრებას ცენტრიდანული კონცენტრატორით. მიღებულია გრავიტაციული კონცენტრატი სპილენძისა და ოქროს შემცველობით, შესაბამისად 1,56%, 5,29 გ/ტ. სპილენძის ამოკრეფა კუდებიდან შეადგენს 61,1%-ს ოქროს ამოკ-

პლატონ იოსელიანის მიერ აგებული, 1852 წლის ტაძრის ვიზუალური მასალა არ არსებობს. იმ პერიოდის პრესის მოძიებამ დაგვანახა, რომ იოსელიანს ძველი ბერძნული მეტეოროლოგიური ნაგებობის ფორმა (ის ბიზანტიის პერიოდში სამრეკლოა) გადმოუტანია საბერძნეთიდან სოლოლაკში. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ გაზეთ „Kavkaz“-ის 1852 წლის 26 ნოემბრის სტატია, საიდანაც ვიგებთ, რომ ეკლესია აშენდა ათენის ეოლუსის ნაგებობის გეგმით (ქარების კოშკი), რომელიც მარკუს ტერენციუს ვარონის ცნობით, ქრისტეს შობამდე 35 წლით ადრე აღმართა კიროსელმა ანდრონიკუსმა.

მოგვიანებით გავრცელდა სამეფო ოჯახის სამადლობელი წერილი, რომელიც პლატონ იოსელიანს

მისწერა ოქროპირ ბატონიშვილმა ტაძრის აგებასთან დაკავშირებით, ფრაგმენტი ამ წერილიდან:

„თქვენ შექმენით ძველი ათენის ტაძრის გამოსახულება, რომელიც ოდესღაც ეოლუსს ეძღვნებოდა. თქვენ გონივრულად აირჩიეთ ადგილი, თითქოს ძველი ღვთაების დასაცინად და ქარების მრისხანების შესაჩერებლად. ეს ტაძარი მთას მიეყრდნო, სადაც მსუბუქი ზეფიროსის გარდა, ქარიშხალი ვეღარ აღწევს. ღმერთმა დაგლოცათ, რომ განწმინდეთ სოლოლაკი“ („History Georgian Church“, 1901, გვ. 314.).

ვინაიდან ეკლესიის ამსახველი ვიზუალური მასალა არ არსებობს, მხოლოდ 1854 წლის „Kavkazskiy kalendar“-ში გაკეთებულ მცირე განმარტებას შეგვიძლია დავვერდნოთ. სოლოლაკის ამდღეობის ტაძარი ყოფილა რვაკუთხა ნაგებობა, 10 მეტრი სიმაღლის, 5 დიდი სარკმლით. დასავლეთის მხრიდან მიდგმული პორტიკითა და გუმბათიანი სამრეკლოთი (1854, გვ. 612).



სურ. 5



სურ. 6

ათენი. ქარების კოშკი.


საბედნიეროდ ათენში დღესაც დგას ძველი ქარების კოშკი, რისი ამსახველი ფოტომასალა მრავლად მოიპოვება. შევადარეთ „Kavkazskiy kalendar“-ისეულ აღწერილობას და მივედით დასკვნამდე, რომ ბერძნული რვაკუთხა ნაგებობა, ემთხვევა გაზეთში

აღწერილ სოლოლაკის ეკლესიას. ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის სოლოლაკში ძველი ბერძნული ტაძრის ასლი მდგარა.

პლატონ იოსელიანის გარდაცვალების შემდეგ, XIX საუკუნის მიწურულს, დადგა ძველი ბერძნული

ტაძრის ახლით ჩანაცვლების საკითხი. მიზეზად დასახელდა ტაძრის მცირე ზომა და მრევლისთვის განკუთვნილი მცირე ადგილი. სწორედ ამ თემაზე 1898 წელს, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით გავრცელდა ამაღლების ეკლესიის მღვდელ დავით ბარნაბოვის მოწოდება. ტაძრის წინამძღვრის წერილიდან ვიგებთ, რომ ეკლესია არის პატარა, ღარიბი და დავრდომილი, მას არ გააჩნია სამრევლო სკოლა, ტაძარი საჭიროებს განახლებას, რომ საძირკველი

უკვე ჩაყრილია, კედლებიც აშენებულია და დამთავრებისთვის საჭიროა თანხა არანაკლებ 500 თუმნისა. თანხა იმაზე მეტი შეგროვებულა, რაც ითხოვეს (6105 მანეთი) („ცნობის ფურცელი“, 1898, № 439, გვ. 4). ძველი ბერძნული ტაძრის ასლი დაანგრიეს და ახალი ტაძარი ააგეს. ეკლესია უკურთხებია საქართველოს ეგზარხოს ფლაბიანეს 1899 წლის 28 მარტს, ისევე „ამაღლების“ სახელზე.



სურ. 7. 1899 წელს აგებული ამაღლების ტაძარი.

1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ საინტერესო სტატია გამოქვეყნდა სოლოლაკის „ამაღლების“ ტაძრის შესახებ. გაზეთი დანანებით იუწყება რომ, ეკლესია ერთ დროს დაუვიწყარ პლატონ იოსელიანს აუშენებია და მისი სახელი მივიწყებულია. ავტორი დასძენს, რომ ეკლესიაში პლატონ იოსელიანის შესახებ რაიმე დამადასტურებელი წარწერაც კი აღარ არსებობს. ტაძარში რამდენიმე ხატია, რომლებიც პლატონ იოსელიანს ქართველ მეფეთა შთამომავლებისგან ჰქონია სამახსოვროდ. სტატიის ავტორი დანანებით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ეს ერთი ნიმუში ადასტურებს პლატონ იოსელიანის ღვაწლს (1902, № 123, გვ. 3).

ამაღლების ეკლესია მდებარეობდა სოლოლაკში,

კოჯრის გზაზე. დღევანდელ ამაღლების ქუჩაზე. ერმაკოვის პანორამული ფოტოს თანახმად ეკლესია იყო გუმბათიანი ერთნავიანი ბაზილიკა. სავარაუდოდ, განივი ფსადის შესასვლელი სიბრტყიდან, ცენტრალური ნაწილიდან, ოდნავ წინ გამოსული და ორნამენტული ნახევრწრიული მოჩარჩოებით ბოლოვდება. მის თავზე ორქანობა ვიწრო გადახურვის ქვედა კიდე კარნიზს უსწორდება, ზედა კი – უშუალოდ გუმბათის საფუძველს. ტაძრის გუმბათი სამი ყრუ და სამი ღია სარკმლითაა წარმოდგენილი. ვახტანგ ბერიძის მოსაზრებით, ეკლესია „რუსული სტილისა“ იყო, თუმცა შემდგომ დასძენს, რომ იგი ნაკლები პრეტენზიითაა ნაშენი და სტილის ნიშნები მკაფიოდ არ ეტყობა. გაზეთ „ივერით“ დასტურდე-

ბა ისტორიული მნიშვნელობის ხატის არსებობა. ხატი დაბრძანებული ყოფილა ჩრდილოეთ კედელთან. საუბარია, ღვთისმშობლის ხატზე, რომელიც თეიმურაზ II-მ უსახსოვრა შვილიშვილს – გიორგი XII-ს 1760 წელს (1902, № 123, გვ. 3). ჩვენ მიერ მოძიებულ წყაროებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ტაძარში იყო ოთხი საფლავი: პლატონ იოსელიანის, მისი მეუღლის, ვაჟისა და პრინცესა ელენა დოლგოპრუკაიასი. პლატონ იოსელიანი 1968 წელს გადაასვენეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. პანთეონშივე გადაიტანეს ამაღლების ტაძრისეული საფლავის ქვაც. სხვა საფლავების ბედი გაურკვეველია.

ამაღლების ტაძარი გვხვდება 1924 წლის თბილისის გეგმაზე. ჩვენი ვარაუდით, ტაძრის გაუქმების თარიღად შესაძლებელია მივიჩნიოთ 1930 წლის 26 იანვარი, რადგან ნიკიტა თალაკვაძე თავის დღიურებში ზარების ჩამოხსნის თარიღად ამ რიცხვს ასახელებს. 1934 წლის თბილისის გეგმაზე ტაძარი უკვე აღარ ფიგურირებს. ჩვენ მოვიძიეთ 1965 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამგზავრის მიერ გადაღებული ფოტო, სადაც შენობა ჯერ კიდევ დგას. სავარაუდოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებით. ეკლესიის შენობა დაანგრიეს 1968 წელს. მიზეზი გახლდათ კოჯრის გზის გაფართოება. უნდა

ვივარაუდოთ, რომ ეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანგრეული ბოლო მართლმადიდებლური ტაძარია თბილისში. ახალი ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1999 წელს. იკურთხა 2003 წელს.

დასკვნა

XIX ს. 30-იანი წლებით დათარიღებული, ორი გრაფიკული გამოსახულების თანახმად, კალოუბნის ერთნავიანი ბაზილიკური ძველი ეკლესია იდგა გალავანში. 1856 წელს, ძველი ქართული ტაძარი ჩაანაცვლეს რუსული, კუბის ფორმის ნაგებობით. XIX ს-ის 90-იან წლებში მთლიანად შეცვალეს ფასადის მორთულობა. ეკლესია XX ს-ის 90-იან წლებში, კინო „რუსთაველის“ მშენებლობას შეეწირა.

1852 წელს, ათენის „ქარების კომპის“ მოდელის მიხედვით აშენებული ამაღლების ტაძარი, ძველი ბერძნული ტაძრის ანალოგი, რვაკუთხა ნაგებობა ყოფილა, რომელსაც დამატებული ჰქონდა პორტიკზე გუმბათიანი სამრეკლო. ბერძნული ასლი დაინგრა და 1899 წელს გუმბათიანი ტაძრით ჩაანაცვლდა. გასაბჭოების შემდეგ, 1930 წელს ტაძარი გაუქმდა, თუმცა შენობა 1968 წლამდე შემორჩა. შენობის დანგრევა გამოიწვია კოჯრის გზის გაფართოებამ.

ლიტერატურა

1. Batonishvili, I. (1948). *Kalmasoba*. (Vol.II).Tbilisi: Sakhelgami. (In Georgian);
2. Talakvadze, N. (2013). *From the Diary of a Citizen Priest*. Tbilisi: Literature museum. (In Georgian);
3. Chichinadze, Z. (1893). *Platon Ioseliani*. Tiflis: Typography M.T. Rotiniants. (In Georgian);
4. Sadzaglishvili, K. (1901). *Brief essay on the history of the Georgian Church and the Exarchate in the 19th century*. Tiflis: Typography K.P. kozlovka. (In Russian)
5. *Caucasus calendar for 1855*. (1854). Tiflis: Office of the Caucasian Governor. (In Russian)

UDC 72

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-68-77>

Cultural-historical and Architectural-artistic Analysis of the Ruined Kaloubani and Amaghleba Temples in Tbilisi

Maia Davitaia Department of Architecture Theory Fundamentals and Fine Arts, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava Str.
E-mail: m.davitaia@gtu.ge

Giorgi Kartvelishvili Department of Architecture Theory Fundamentals and Fine Arts, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava Str.
E-mail: temmpera@yahoo.com

Reviewers:

V. Mudjiri, Professor, Faculty of Architecture, Urbanism and Design, GTU

E-mail: v.mudjiri@gtu.ge

T. Chubinidze, Associate Professor, Faculty of Architecture, Urbanism and Design, GTU

E-mail: t.chubinidze@gtu.ge

Abstract. In Tbilisi, representatives of different denominations have never fought each other on religious grounds, unless we count the Bolsheviks and their "League of Militant Atheists", who from the end of the 1920s declared a fight against representatives of all religions and destroyed many churches. Among the many religious buildings destroyed in Tbilisi during the Soviet period are two Orthodox churches – St. George's Cathedral in Kaloubani, which was built on the ruins of an old Georgian temple in the 50s of the 19th century during the annexation of Russia, and the Amaghleba church in Sololaki, built by Platon Ioseliani in 1852. The last was built according to the Greek temple and renovated at the end of the 19th century. The article presents the cultural-historical and architectural-artistic analysis of the churches destroyed by the Soviet authorities since the 1930s, the reasons for their construction and destruction.

Keywords: architecture; church; destruction; history; temple.

განხილვის თარიღი 09.03.2023

შემოსვლის თარიღი 12.03.2023

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.2023

UDC 616-006

SCOPUS CODE 2730

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-78-84>

ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი სისტემა საშვილოსნოს ყელისა და სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების დიაგნოსტიკისათვის

პაატა ლეჟავა ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: p.lezhava@gtu.ge

ზვიად ღურჭკაია ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: z.gurtskaia@gtu.ge

რეცენზენტები:

ა. ფიცხელაური, ასოცირებული პროფესორი, თოდუას კლინიკის ინჟინერ-დოზიმეტრისტი

E-mail: a.pitskelauri@gtu.ge

მ. წიკლაური, სტუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

E-mail: m.tsiklauri@gtu.ge

ანოტაცია. სიმსივნის ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია, რადგან დროულად და ეფექტურად მოხდეს პაციენტის მკურნალობა. დღეისათვის დიაგნოსტიკის ყველაზე გავრცელებული მეთოდებია მაგნიტურ-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფიები.

რუტინული ანალიზებით სიმსივნის დიაგნოსტიკა არის სიახლე და მნიშვნელოვანია სისხლის კვლევების შედეგების უფრო სერიოზული და ზუსტი ანალიზი იმისათვის, რომ ვიპოვოთ მტკიცებულება ორგანიზმში სპეციფიკური სიმსივნური ზრდის შესახებ.

დღეისათვის მეცნიერები სულ უფრო ხშირად მართავენ ხელოვნური ინტელექტის მეთოდებს მსგავსი ტიპის ამოცანის გადასაჭრელად.

სტატიაში განხილულია ჩვენ მიერ საშვილოსნოს ყელის სიმსივნის დიაგნოსტიკისათვის შექმნილი კომპიუტერული სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ხელოვნურ ინტელექტზე, კერძოდ, მანქანურ დასწავლაზე. სისტემა დიაგნოსტიკას ახდენს რუტინული ტესტების გამოყენებით და გამოირჩევა საკმაოდ დიდი სიზუსტით. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მოდელი კლინიკისტებს დაეხმარება სიმსივნის დადგენასა და დაავადების დროულ ვერიფიკაციაში.

საკვანძო სიტყვები: ლაბორატორიული კვლევები; მანქანური დასწავლა; მკურნალობა; მოდელი; სიმსივნის დიაგნოსტიკა.

შესავალი

სიმსივნის მუდმივი მუტაცია და ზრდა განაპირობებს სისხლის შედგენილობის ცვლილებებს. ექიმს შესაძლებლობა აქვს ამოიღოს ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც დამალულია სისხლის რუტინული ანალიზის შედეგებში. ქ. ლუბლიანას უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ სისხლის რუტინულ კვლევებში შესაძლოა იმალებოდეს მეტი ინფორმაცია ვიდრე ყველაზე გამოცდილ მკვლევარსაც კი შეუძლია აღმოაჩინოს. 15,176 ნევროლოგიური პაციენტის სისხლის რუტინული ტესტების გამოყენებით, მათ შექმნეს მანქანური სწავლების პროგნოზირებადი მოდელი თავის ტვინის სიმსივნეების დიაგნოსტიკისთვის. ადაპტირებული სიმსივნის მოდელის მგრძობელობა და სპეციფიკურობა იყო 96% და 74% შესაბამისად. ჩვენი კვლევის მიზანი არის საშვილოსნოს ყელისა და ენდომეტრიუმის სიმსივნეების ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სადიაგნოსტიკო მოდელის შექმნა პაციენტების მონაცემთა ბაზების გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სისხლის რუტინული კვლევების შედეგების უფრო სერიოზული და ზუსტი ანალიზი, რომ ვიპოვოთ მტკიცებულება ორგანიზმში სპეციფიკური სიმსივნური ზრდის შესახებ. დღეისათვის მეცნიერები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ხელოვნური ინტელექტის

მეთოდებს მსგავსი ტიპის ამოცანის გადასაჭრელად. ხელოვნურ ინტელექტში ფართოდ გამოყენებულ მანქანურ სწავლებას შეუძლია სამედიცინო მონაცემებიდან ისეთი კანოზომიერებების გამოვლენა, რაც ადამიანისთვის, მაღალი კვალიფიკაციის ექიმებისთვისაც შეუძლებელია. ასეთი წარმატებული სადიაგნოსტიკო მოდელები მნიშვნელოვნად დაეხმარება კლინიკისტებს დიაგნოზის დროულ ვერიფიკაციაში [1].

საშვილოსნოს ყელის, ენდომეტრიუმის, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების დიაგნოზი ჩვეულებრივ ეფუძნება პაციენტის ანამნეზს, ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ კვლევებს. მნიშვნელოვანია სიმსივნის ადრეული დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა რაც ხშირად ვერ ხერხდება სიმპტომების არარსებობისა და ექიმთან დაგვიანებული ვიზიტის გამო. ასევე პრობლემაა არასპეციფიკური კლინიკური გამოვლინებები და სიმსივნის შედარებით იშვიათი ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერულ-ტომოგრაფიული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევები უდავოდ იქნება მნიშვნელოვანი, ექიმებს შეუძლიათ ამოიღონ ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც დამალულია რუტინულ სისხლის ანალიზის შედეგებში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სისხლის რუტინული კვლევების შედეგების უფრო სერიოზული და ზუსტი ანალიზი, რომ ვიპოვოთ მტკიცებულება ორგანიზმში სპეციფიკური სიმსივნური ზრდის შესახებ [2].

პაციენტების ისტორიების რეტროსპექტული ანალიზის შედეგად შესაძლებელია მანქანურ სწავლე-

ბაზე დაფუძნებული სადიაგნოსტიკო მოდელების შექმნა, რაც დღეისათვის სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იძენს [4].

ძირითადი ნაწილი

ჩვენ შევისწავლეთ ონკოლოგიური პაციენტების ისტორიები, რომელთაც დიაგნოსტირებული ჰქონ-

დათ საშვილოსნოს ყელისა და ენტომეტრიუმის სიმსივნეები და მკურნალობდნენ ქ. თბილისის კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში. შესწავლილი იქნა 272 პაციენტის ისტორია. მოდელის შესადგენად ვიყენებდით მხოლოდ რუტინულ ლაბორატორიულ კვლევებს (ცხრილი 1).


ცხრილი 1

1. მარდის საერთო ანალიზი	2. სისხლის საერთო ანალიზი	3. ღვიძლის ფუნქციების განსაზღვრა
რაოდენობა	ლეიკოციტი (WBC)	ტუტე ფოსფატაზას კონცენტრაციის განსაზღვრა
ხვედრითი წონა	ერიტროციტები (RBC)	ალანინამინოტრანსფერაზას კონცენტრაციის განსაზღვრა
რეაქცია	ჰემოგლობინი (HGB)	ასპარტატამინოტრანსფერაზის კონცენტრაციის განსაზღვრა
ფერი, გამჭვირვალობა	ჰემატოკრიტი (HCT)	პირდაპირი ბილირუბინის განსაზღვრა
ცილი რაოდენობა	ერიტროციტების საშუალო მოცულობა (MCV)	საერთო ბილირუბინის განსაზღვრა
ბრტყელი ეპითელიუმი	ჰემოგლობინის საშ. შემცველობა ერიტროციტში (MCH)	კრეატინინის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლში
ერიტროციტი შეუცვლელი	მოგლობინის საშ. კონცენტრაცია ერიტროციტში (MCHC)	გამაგლუტამინოტრანსპეტიდაზას კონცენტრაციის განსაზღვრა
ლეიკოციტი	ერიტროციტების განაწილების ფართი (RDW-CV)	
ბაქტერიები	თრომბოციტი (PLT)	
მარილები	თრომბოციტების საშუალო მოცულობა (MPV)	5. გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრა უშუალოდ (GLUC)
	ნეიტროფილი % (Neut%)	
	ნეიტროფილი	6. სისხლის კვეჭისა და რუხის განსაზღვრა
4. ინფექციურ დაავადებათა დიაგნოსტიკა პაციენტებში	ლიმფოციტი % (LYMPH%)	
HBsAg (სწრაფი ტესტი)	ლიმფოციტი	7. კოაგულაცია
HIV-1/2	მონოციტი % (MONO%)	FIBR
RPR (სიფილისის ტესტი)	მონოციტი	PT
	ეოზინოფილი % (Eosino %)	PI %
	ეოზინოფილი	INR
	ბაზოფილი % (BASO%)	TT
	ბაზოფილი	aPTT
	ედს- კესტერგინის მეთოდით	


მოდელის შესადგენად გამოვიყენეთ მანქანური სწავლების ზედამხედველობითი მეთოდი, კერძოდ კლასიფიკაცია, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება ჩვენს ამოცანას. ინსტრუმენტის სახით გამოყენებული იყო მატლაბის პროგრამული უზრუნველყოფა, კერძოდ classification learner [1].

განხორციელდა მოდელის დასწავლება შემდეგი სტატისტიკური მეთოდებით. შესაბამისი მიღებული


შედეგები იხილეთ სურათებზე. Ensemble (სურ.1), Boosted Tree (სურ.2), fine Tree (სურ.3), linear SVM (სურ.4) Quadratic SVM(სურ.5), neural network (სურ.6), Cubic SVM (სურ.7), logistic Kernel (სურ.8), SVM kernel (სურ.9), Coarse tree (სურ.10)), Medium Tree (სურ.11).




სურ. 1 ENSEMBLE



სურ. 2 Boosted Tree




სურ. 3 Fine Tree




სურ. 4 Linear SVM




სურ. 5 Quadratic SVM




სურ. 6 neural network




სურ. 7 Cubic SVM




სურ. 8 Logistic Kernel



სურ. 9 SVM Kernel



სურ. 10 Coarse tree



სურ. 11 Medium tree

საუკეთესო შედეგი მოგვცა Medium Trees მეთოდის გამოყენებამ. 100%-იანი სიზუსტით გამოარჩია საშვილოსნოს ყელის სიმსივნეების მქონე პაციენტები, 90%-იანი სიზუსტით არაონკოლოგიური პაციენტები, ხოლო 93.3%-იანი სიზუსტით სარძევე ჯირკვლის სიმსივნის მქონე პაციენტები.

დასკვნა

შექმნილია საშვილოსნოს ყელისა და სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების დიაგნოსტიკის მანქანურ სწავლებაზე დაფუძნებული კომპიუტერული

სისტემა, რომელიც დიაგნოსტიკას ახდენს რუტინული ტესტების გამოყენებით და გამოირჩევა საკმაოდ მაღალი სიზუსტით. სისტემის სწავლები-სათვის გამოყენებულია ქართული პოპულაციის პაციენტები, რომლებიც მკურნალობას გადიოდნენ ქირურგიის ეროვნულ ცენტრში. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მოდელი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს კლინიკისტებს საშვილოსნოს ყელისა და სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების დროულ ვერიფიკაციაში.

ლიტერატურა

1. Sidamonidze, N. (2019). Artificial intelligence as a challenge and some methodological aspects of its realization. Georgian Technical University. *Automated Control Systems*, 1(28), 186.
2. Podnar, S., Kukar, M., Gunčar, G., Notar, M., Gošnjak, N., Notar, M. (2019). Diagnosing brain tumors by routine blood tests using machine learning. *Scientific Reports*, 9. doi: 10.1038/s41598-019-51147-3
3. Torlay, L., Perrone-Bertolotti, M., Thomas, E., Baciú, M. (2017). Machine learning-XGBoost analysis of language networks to classify patients with epilepsy. *Brain Inform*, 4(3), 159–69. doi 10.1007/s40708-017-0065-7.
4. Chkhaidze, M., Tavdishvili, O., Chichua, G., Barnov, S. (2020). *Artificial intelligence (methodical guidelines for practical work)*. Georgian Technical University. (In Georgian).

UDC 616-006

SCOPUS CODE 2730

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-78-84>

An Artificial Intelligence-equipped System for the Diagnosis of Cervical and Breast Cancer

Paata Lezhava Department of Biomedical Engineering, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.

E-mail: p.lezhava@gtu.ge

Zviad Ghurtskaia Department of Biomedical Engineering, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.

E-mail: z.gurtskaia@gtu.ge

Reviewers:

A. Pitskhelauri, Associate Professor, Engineer-dosimetrist at Todua Clinic

E-mail: a.pitskhelauri@gtu.ge

M. Tsiklauri, Assistant Professor, Faculty of Medicine, GTU

E-mail: m.tsiklauri@gtu.ge

Abstract. Diagnosing the tumor at an early stage is important because the patient can be treated in a timely and effective manner. Currently, the most common methods of diagnosis are magnetic resonance and computer tomography.

Diagnosing a tumor with routine tests is a novelty, and it is important to have a more serious and accurate analysis of the results of blood tests in order to find evidence of specific tumor growth in the body.

Today, scientists are increasingly using artificial intelligence methods to solve this type of problem.

The computer system that we created for the diagnosis of cervical cancer, which is based on artificial intelligence, namely, machine learning, is discussed. The system diagnoses using routine tests and is distinguished by fairly high accuracy. We think that this model will help clinicians to identify cancers and diagnose the disease in a timely manner.

Keywords: cancer diagnosing; machine learning; model; laboratory studies; treatment.

განხილვის თარიღი 26.04.2023

შემოსვლის თარიღი 28.04.2023

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.2023

UDC 001.8

SCOPUS CODE 3309

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-85-92>

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციების ეფექტურობის ასახვა Crossref-ის ანგარიშებში

მადონა კოპალეიშვილი	ინსტიტუტი ტექინფორმი, საქართველოს საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: m_kopaleishvili@gtu.ge	ტექნიკური უნივერსიტეტი,
ნელი მახვილაძე	ინსტიტუტი ტექინფორმი, საქართველოს საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: nellym@gtu.ge	ტექნიკური უნივერსიტეტი,
ირინა ბედინაშვილი	ინსტიტუტი ტექინფორმი, საქართველოს საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: i_bedinashvili@gtu.ge	ტექნიკური უნივერსიტეტი,
თეიმურაზ ჩუბინიშვილი	ინსტიტუტი ტექინფორმი, საქართველოს საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: t.chubinishvili@gtu.ge	ტექნიკური უნივერსიტეტი,

რეცენზენტები:

ზ. გასიტაშვილი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: zur_gas@gtu.ge

მ. ახოზაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: meakhobadze@yahoo.com

ანოტაცია. Crossref-ის ონლაინ სამეცნიერო კვლევების გლობალურ ქსელში შესული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციების ეფექტურობა შეფასებულია სააგენტოს მიერ გამომცემლისათვის გადაცემული ყოველთვიური ანგარიშების შედეგების მიხედვით და მოიცავს სამ წელზე მეტ პერიოდს. ანგარიშებით დას-

ტურდება, რომ სტუ-დან Crossref-ში იგზავნება პუბლიკაციების კორექტული მეტამონაცემები – უმეტეს შემთხვევებში ძიების მცდელობები და დოკუმენტზე წვდომის შედეგები არის ერთი და იგივე ან ერთმანეთთან ახლოს მყოფი სიდიდეები, არ შემოდის შეტყობინებები DOI-ს დუბლირების ან მცდარი DOI-ს შესახებ. გამოიკვეთა სტუ-ის სამეცნიერო გამოცემების ძიების სივრცე, განისაზღვრა წვდო-

მების საშუალო თვიური რაოდენობა. წარმატებული წვდომის მაქსიმალური რაოდენობა – 1,130, უშედეგო ძიების მაქსიმალური რაოდენობა – 45. გამოვლინდა სტუ-ის შრომების 2021–2022 წლების ყველაზე რეიტინგული პუბლიკაცია. განისაზღვრა წვდომების რაოდენობა გამოცემის დასახელების მიხედვით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების პუბლიკაციები 2021 წელს მონახულა 5254-მა რესპონდენტმა, 2022 წელს – 6089-მ. გარდა სტუ-ის შრომებისა, საძიებო სისტემაში რეგისტრირებულია და DOI აქვს მინიჭებული სტუ-ის 15 დასახელების თემატურ სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემას. მომავალში გათვალისწინებულია მათში შემავალი პუბლიკაციების იდენტიფიცირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ხილვადობას და პოპულარობას.

საკვანძო სიტყვები: სამეცნიერო პუბლიკაციების რეიტინგი; Crossref-ის ანგარიშები; საერთაშორისო მონაცემთა ბაზები.

შესავალი

კვლევის ობიექტია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ის სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებიც შესულია Crossref-ის ონლაინ სამეცნიერო კვლევების გლობალურ ქსელში და, შესაბამისად, მინიჭებული აქვს ციფრული ობიექტის იდექსი – DOI.

Crossref-ი ინტერნეტსივრცეში განთავსებული სამეცნიერო პუბლიკაციების მარეგისტრირებელი სააგენტოა. ყოველ რეგისტრირებულ ობიექტს მიეწიება DOI (Digital Object Identifier), რომელიც

მიიჩნევა თანამედროვე სამეცნიერო გამოცემის აუცილებელ ელემენტად. მისი გამოყენება მნიშვნელოვნად აადვილებს ინფორმაციის წვდომის პროცესს, ზრდის ჟურნალის ავტორიტეტს, ადასტურებს გამოცემის მაღალ ტექნოლოგიურ დონეს.

სააგენტოს მიერ DOI-ს მინიჭება ხდება მხოლოდ მასში გაწვევებისა და შესაბამისი პრეფიქსის მიღების შემდეგ. დღეისათვის გაცემული პრეფიქსების საერთო რაოდენობაა 24389[1]. საქართველოში Crossref-ის ერთ-ერთი პრეფიქსის (10.36073) მფლობელია სტუ-ის ინსტიტუტი ტექნიკური.

DOI სიმბოლოების უნიკალური ერთობლიობაა, შედგება პრეფიქსისა და სუფიქსისაგან. პრეფიქსი აღნიშნავს გამომცემელს (სარეგისტრაციო სააგენტო პრეფიქსს ანიჭებს ყველა წევრ ორგანიზაციას), ხოლო სუფიქსი – ჟურნალს და მასში განთავსებულ პუბლიკაციას (სუფიქსს ანიჭებს გამომცემელი, თუმცა ტექნიკურად იგი კონტროლდება DOI-ს ამოცნობის სისტემის მიერ).

სტუ-ის ინსტიტუტი ტექნიკური Crossref-ის წევრი გახდა 2019 წელს. მას შემდეგ Crossref-ს გადაეგზავნა სათანადო მოთხოვნებით გაფორმებული სხვადასხვა გამოცემის მეტამონაცემები. მათ შორისაა სტუ-ის სამეცნიერო შრომათა კრებულში 2019–2022 წლებში გამოქვეყნებული 200-ზე მეტი პუბლიკაცია.

Crossref-ი აანალიზებს მეტამონაცემებში მოცემულ ყველა ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას, რაც აისახება სხვადასხვა ანგარიშში. ამ მონაცემების სისრულე და კორექტულობა პირდაპირ ან ირიბად ახდენს გავლენას პუბლიკაციის ნახვათა რაოდენობაზე და, შესაბამისად, სამეცნიერო ორგანიზაციის, გამოცემისა და კვლევის ავტორთა რეიტინგზე.

ანგარიშების შედეგები ყოველთვიურად გადაეცემა სააგენტოს წევრ ორგანიზაციებს, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინტერნეტსერვისებში პუბლიკაციაზე მოთხოვნის შესწავლის თვალსაზრისით.

კვლევითი სამუშაო, რომელიც ჩატარდა 2022 წელს სტუ-ის შიგა გრანტის ფარგლებში, მიზნად ისახავდა Crossref-ის ანგარიშების შესწავლას, ანალიზს, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას სტუ-ის სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხისა და პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით.

ძირითადი ნაწილი

22.09.2022 მონაცემებით [2] Crossref-ში გაწევრებულია საქართველოს თითქმის ყველა მსხვილი სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაცია, მათ შორის: ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მათემატიკურ მეცნიერებათა თბილისის ცენტრი, ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი და სხვ. სულ 16 ორგანიზაცია.

Crossref-თან ურთიერთობაში აქტიურობით გამოირჩევიან ილიას სახ. უნივერსიტეტი (252 პუბლიკაცია), გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი (147), მათემატიკურ მეცნიერებათა თბილისის ცენტრი (142).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომერციული ორგანიზაცია „ასოციაცია მეცნიერებისათვის“

(Association for Science), რომელმაც თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად გამოაცხადა „ღია წვდომის, თანამედროვე სტანდარტების მქონე ელექტრონული ჟურნალების პორტალის შექმნა, სადაც გაერთიანებული იქნება ყველა ქართული ელექტრონული ჟურნალი“. 2021 წელს ასოციაცია Crossref-ის წევრად დარეგისტრირდა, რის შედეგად მის საიტზე განთავსებულ ყველა ელექტრონულ მასალას – ელექტრონულ ჟურნალებს, წიგნებს, სამეცნიერო ნაშრომებს მიენიჭა DOI. ამჟამად რეგისტრირებულია 885 დასახელების პუბლიკაცია – ფაქტობრივად საქართველოდან რეგისტრირებული DOI-ს რაოდენობის ნახევარი (სულ 1752 პუბლიკაცია).

გარდა სტუ-ის სამეცნიერო შრომების კრებულითა, ტექნიკურთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტოში რეგისტრირებულია სტუ-ის 15 დასახელების სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა, რომელთა შინაარსი ღია წვდომაში ხვდება გამოცემისთანავე. ქვემოთ მოცემულია ამ ჟურნალების ჩამონათვალი.

III. Crossref-ის ანგარიშები

Crossref-ის ანგარიშებიდან მთავარია ანგარიში წვდომის შესახებ (Resolution report) [4] - ანგარიში გამომცემლისათვის, რომელშიც მოცემულია წინათვეში წარმატებით და უშედეგოდ მოძიებული DOI-ს რაოდენობა კონკრეტული პრეფიქსისათვის. ამ ანგარიშს Crossref-ის კომპიუტერული სისტემის პროქსი სერვერის მონაცემებზე დაყრდნობით სააგენტო თავის წევრებს უგზავნის ყოველთვიურად.

სტუ-ის პერიოდული გამოცემები, რომლებსაც მინიჭებულ აქვთ DOI [3]

#	გამოცემის დასახელება	DOI
1.	არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები	https://doi.org/10.36073/2233-3266
2.	ბიზნესინჟინერინგი	https://doi.org/10.36073/1512-0538
3.	განათლება	https://doi.org/10.36073/2346-8300
4.	მართვის ავტომატიზებული სისტემები	https://doi.org/10.36073/1512-3979
5.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	https://doi.org/10.36073/0130-7061
6.	მშენებლობა	https://doi.org/10.36073/1512-3936
7.	სამთო ჟურნალი	https://doi.org/10.36073/1512-407X
8.	საქართველოს საინჟინრო სიახლენი (GEN)	https://doi.org/10.36073/1512-0287
9.	არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	https://doi.org/10.36073/0135-0765
10.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები	https://doi.org/10.36073/1512-0996
11.	ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა	https://doi.org/10.36073/1512-3537
12.	ჰიდროინჟინერია	https://doi.org/10.36073/1512-410X
13.	ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები	https://doi.org/10.36073/1512-0902
14.	ცოტნე მირცხულავას წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული	https://doi.org/10.36073/1512-2344
15.	Caucasus Abstracts Journal of Nanoscience and Nanotechnology	https://doi.org/10.36073/2667-9221
16.	ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრქ) Georgian Abstracts Journal	https://doi.org/10.36073/1512-0775

როდესაც მკვლევარი საერთაშორისო ქსელში პოულობს საძიებელ ობიექტს, ეს მიიჩნევა DOI-ს ერთ წვდომად. თუ აღნიშნული DOI-ს აკრეფით არ იხსნება სასურველი მასალა, ეს ითვლება უშედეგო ძიებად. ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ არ ფიქსირდება, წვდომათა რაოდენობაც ზუსტად არ განსაზღვრავს პუბლიკაციის პოპულარობას, მაგრამ საშუალებას იძლევა შეფასდეს Crossref-ში მისი განთავსების ეფექტურობა.

ანგარიში რამდენიმე ბლოკისაგან შედგება:

1. წვდომა თვეების მიხედვით (Resolutions by month) – ძიების მცდელობის საერთო რაოდენობა, წარმატებული ძიების – წვდომების რაოდენობა, ყველა მონაწილის მიერ ჩატარებულ ძიებათა საერთო რაოდენობა;

2. თვის პოპულარული ინდექსები (This month's popular DOIs) – თვის 10 ყველაზე პოპულარული DOI კონკრეტული პრეფიქსისათვის;
3. წვდომა ნომრების მიხედვით (Resolutions by the numbers) – ძიების შედეგები უნიკალური ნომრების მიხედვით;
4. წვდომის შედეგები გამოცემების დასახელების მიხედვით (Successful resolution counts by publication title).
წვდომის მცდელობები (Resolution Attempts) აღნიშნავს დროის გარკვეულ პერიოდში (ერთ

თვეში) რამდენჯერ აკრიფეს კონკრეტული ინდექსი – DOI შესაბამისი პუბლიკაციის მოსამბუნად.

წარმატებული ძიება – წვდომა (Resolution Successes) – ჩატარებული ძიების შედეგად რამდენჯერ გაიხსნა სასურველი მასალა. იდეალურ შემთხვევაში ეს ორი მონაცემი უნდა იყოს ერთი და იგივე ან ერთმანეთთან ახლოს მყოფი სიდიდეები.

ყველა მონაწილის მიერ ჩატარებულ ძიებათა საერთო რაოდენობა (Total Attempts for all members) მოცემულია იმის გასაგებად, თუ Crossref-ის წევრი ორგანიზაციების რამდენი DOI იქნა მოძიებული დროის მოცემულ მონაკვეთში.


Crossref-ს აქვს რამდენიმე სხვა სახის ანგარიში და შეტყობინებები: კონფლიქტის შესახებ, DOI-ს შეცდომის შესახებ, ანგარიში Schematron, რომლებსაც თავის წევრებთან გზავნის ელექტრონული

ფოსტით. ტექინფორმი ღებულობს მხოლოდ წვდომის ანგარიშს.

IV. ანგარიშების ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპიუტერული სისტემა პროქსი სერვერის მონაცემებზე დაყრდნობით Crossref-ი თავის წევრებს ყოველთვიურად უგზავნის ანგარიშს წვდომის შესახებ (Resolution report) ანუ ანგარიშს წინა თვეში წარმატებით და უშედეგოდ მოძიებული DOI-ს რაოდენობის შესახებ კონკრეტული პრეფიქსისათვის.

აღნიშნულ ანგარიშებს ტექინფორმი იღებს 2019 წლის სექტემბრიდან დღემდე. ქვემოთ მოცემულია მონაცემები 2020 – 2022 წლებში 10.36073 პრეფიქსით რეგისტრირებული ყველა პუბლიკაციისათვის. ერთ თვეში წარმატებული წვდომის მაქსიმალური რაოდენობაა 1,130 (2021 წლის ოქტომბერი).



წარმატებული წვდომის რაოდენობა თვეების მიხედვით

უშედეგო ძიების მაქსიმალური რაოდენობა არის 45 (2022 წლის იანვარი).

გამოვლინდა სტუ-ის შრომების 2021–2022 წლების ყველაზე რეიტინგული პუბლიკაცია: <https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-4-122-130> ი. ბუიშვილი „სამხედრო-საინჟინრო მეცნიერების როლი ტოტალურ თავდაცვაში“, რომელიც 02.2021-დან 12.2022-მდე 18 თვე იყო საუკეთესო პუბლიკაციების ათეულში (სულ 391 წვდომა) [5].

თვის პოპულარული ინდექსების შედეგები, სადაც მოცემულია 10 ყველაზე რეიტინგული პუბლიკაციის ჩამონათვალი DOI-ს წვდომათა რაოდენობის მიხედვით, ადასტურებს გავრცელებულ მოსაზრებას მიმოხილვითი და მეთოდური პუბლიკაციების პოპულარულობის შესახებ.

განისაზღვრა წვდომების რაოდენობა გამოცემის დასახელების მიხედვით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების პუბლიკაციები 2021 წელს მონახულა 5254-მა რესპონდენტმა, 2022 წელს – 6089-მ. გარდა სტუ-ის შრომებისა, ონლაინ სამეცნიერო კვლევების გლობალურ ქსელში რეგისტრირებულია სტუ-ის 15 დასახელების სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა. მომავალში გათვალისწინებულია შემავალი პუბლიკაციების იდენტიფიცირებაც, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ხილვადობას და პოპულარობას.

სამუშაო გაგრძელდება პროგრამული პროდუქტის შესაქმნელად. Crossref-ის ანგარიშებში ასახული მონაცემების ავტომატიზებული ძიების ჩასატარებლად პროგრამული პროდუქტის შექმნა უზრუნველყოფს ოთხივე ძირითადი ბლოკის მიხედვით ძიების ჩატარებას, რაც საშუალებას მოგვცემს ავტომატურ

რეჟიმში დავითვალოთ წვდომების რაოდენობები და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები.

შედეგა სტუ-ის ინსტიტუტ ტექნიკორმისა და სტუ-ის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახურის – „ერთად“ ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია. სამუშაოს შედეგების შეფასებისას გამომსვლელებმა აღნიშნეს კვლევის აქტუალურობა და გამოთქვეს მოსაზრება Crossref-ის ანგარიშებში ასახული მონაცემების ავტომატიზებული ძიების ჩასატარებლად პროგრამული პროდუქტის შექმნის საჭიროების შესახებ.

დასკვნა

- ონლაინ სამეცნიერო კვლევების გლობალურ ქსელთან დაკავშირებითა და პუბლიკაციებისათვის DOI-ს მინიჭებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემები ინტერნეტის ქსელში სამეცნიერო ინფორმაციის მოძიებისა და ციტირების ხელშემწყობის ახალ საფეხურზე ავიდა;
- Crossref-ის ანგარიშებით დასტურდება, რომ სტუ-დან სააგენტოში იგზავნება პუბლიკაციების კორექტული მეტამონაცემები – უმეტეს შემთხვევებში ძიების მცდელობები და დოკუმენტზე წვდომების რაოდენობა ერთი და იგივე ან ერთმანეთთან ახლოს მყოფი სიდიდეებია, არ შემოდის შეტყობინებები DOI-ს დუბლირების ან მცდარი DOI-ს შესახებ. უშედეგო ძიების მაქსიმალური რაოდენობაა 45;
- გამოიკვეთა სტუ-ის სამეცნიერო გამოცემების ძიების სივრცე. ბოლო ორი წლის თვიური ძიე-

- ბის მაქსიმალური რაოდენობაა 1,708, მინიმალური – 163;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომათა კრებულის პუბლიკაციები 2021 წელს მოინახულა 5254-მა რესპონდენტმა, 2022 წელს – 6089-მ. გასათვალისწინებელია, რომ გამოცემა არის პოლითემატური, გამოდის წელიწადში 4-ჯერ და ერთ ტომში განთავსებულია 20-მდე სტატია;
 - გამოვლინდა სტუ-ის შრომათა კრებული 2021 – 2022 წლების ყველაზე რეიტინგული პუბლიკაცია;
 - რეკომენდებულია Crossref-ის ანგარიშებში ასახული მონაცემების ავტომატიზებული ძიების ჩასატარებლად პროგრამული პროდუქტის შექმნა.

ლიტერატურა

1. Crossref. (n.d). *Crossref Stats*. Retrieved from: <https://www.crossref.org/06members/53status.html>;
2. Crossref. (n.d). *Go-live*. Retrieved from: <https://www.crossref.org/06members/50go-live.html>;
3. DOI Foundation. (n.d). *Digital Object Identifier (DOI) System*. Retrieved from: <https://doi.org/>
4. Crossref. (n.d). *Resolution Report*. Retrieved from: <https://www.crossref.org/documentation/reports/resolution-report>
5. Buishvili, I. (2020). The Role of Military Engineering Science in Total Defense. *Works of Georgian Technical University* 4(518), 122-130. <https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-4-122-130>

UDC 001.8

SCOPUS CODE 3309

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-85-92>

Reflecting Efficiency of Scientific Publications of the Technical University of Georgia in Crossref Reports

Madona Kopaleishvili	Institute Techninformi, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava Str. E-mail: m_kopaleishvili@gtu.ge
Nelly Makhviladze	Institute Techninformi, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava Str. E-mail: nellym@gtu.ge
Irina Bedinashvili	Institute Techninformi, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava Str. E-mail: i_bedinashvili@gtu.ge
Teimuraz Chubinishvili	Institute Techninformi, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava Str. E-mail: t.chubinishvili@gtu.ge

Reviewers:

Z. Gasitashvili, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: zur_gas@gtu.ge

M. Akhobadze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: meakhobadze@yahoo.com

Abstract. The effectiveness of the scientific publications of the Georgian Technical University included in the Crossref online scientific research global network is evaluated according to the results of the monthly reports provided by the agency to the publisher and covers a period of more than three years. The reports confirm that correct publication metadata are sent from the GTU to the Agency – in most cases, resolutions attempts and successful resolution counts by document are matching or are close to each other, no duplicate DOIs or wrong DOIs have been reported. The search space of the scientific publications of the GTU was defined, the average monthly number of resolutions was determined. The maximum successful resolution counts is 1,130, the maximum failures make 45. The top-rated publication of the 2021-2022 GTU works was identified; the successful resolution counts by the publication title were determined. GTU publications were looked up by 5,254 respondents in 2021, and by 6,089 in 2022. In addition to the Works of GTU, in the search system there are also registered and DOI assigned 15 thematic scientific periodicals of GTU. In the future, it is planned to identify the publications included in them, which will significantly increase their visibility and popularity.

Keywords: Crossref reports; international databases (IDBs); ratings of scientific publications.

განხილვის თარიღი 07.03.2023

შემოსვლის თარიღი 14.03.2023

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.2023

UDC 327

SCOPUS CODE 3320

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-93-107>

ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში

თამილა
ყურაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: tamikurashvili@gmail.com

რეცენზენტები:

ბ. შერაზადიშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

ზ. კვეტენაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: Kvetenadzezurabi07@gtu.ge

ანოტაცია. XX საუკუნის მთავარი გლობალური გეოპოლიტიკური დისკურსი ხდებოდა მსოფლიოს ორ ნაწილად, საბჭოთა და დასავლეთის გავლენის სფეროებად გაყოფაზე. მსჯელობისას, დასავლეთის ლიდერად გვევლინებოდა ამერიკის შეერთებული შტატები, რაც რუსეთის მხრიდან უმთავრეს გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ აღიქმებოდა. რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თავდაპირველად ინერციით, ხოლო შემდეგ კვლავ საფუძვლიანად გააგრძელა საბჭოთა კავშირის ეს კურსი. შედარებით ნაკლებ რეაქციულ პოლიტიკას ავლენდა აშშ-ის ხელისუფლება რუსეთის ფედერაციისადმი, ვიდრე საბჭოთა კავშირის მიმართ. თუმცა, საბოლოო თანაშრომლობითი შეთანხმება, ძირითად გეოპოლიტიკურ საკითხებზე, ამ ორ სახელმწიფოს შორის მაინც ვერ იქნა მიღწეული.

სპარსეთის ყურე და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონი ყოველთვის ფართო ინტერესის სფერო იყო რუსეთისთვის. რეგიონის მიმართ ასეთი ინტერესი განპირობებულია საკმაოდ მარტივი მიზეზით – ახლო აღმოსავლეთი არის რუსეთის საზღვრების სამხრეთი ფლანგი. შესაბამისად, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში რეგიონში გავლენის გაძლიერებას ყოველთვის წამყვანი ადგილი ექნება. შესაბამისად, აშშ – რუსეთის ინტერესები ამ რეგიონში იკვეთება.

რუსეთის გეოპოლიტიკაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება ამერიკის შეერთებულ შტატებს უჭირავს. ამჟამად აშშ-სა და რუსეთს შორის უკრაინის ომის გამო უაღრესად დამაბული ურთიერთობაა. მიუხედავად ამისა, ორივე მსხვილი საერთაშორისო აქტორი მეტნაკლებად აცნობიერებს, თუ რამდენადაა მათ ურთიერთობებზე დამოკიდებული მთლიანად კაცობრიო-

ბის ბედი. რუსეთი და აშშ ორივე მსოფლიო ომში მოკავშირეები იყვნენ. ეს ისტორიული მეხსიერებაც მათ შორის არსებობს, მაგრამ იდეოლოგიურმა და ცივილიზაციურმა განსხვავებებმა მხარეებს არ მისცა შესაძლებლობა რამდენადმე მშვიდობიანი და სამართლიანი მსოფლიოსათვის ჩაეყარათ საფუძველი. მათ შორის ურთიერთობები უფრო მეტოქეობით ხასიათს ატარებს, ვიდრე თანამშრომლობითს. დღეისათვის რუსეთს აშშ-სა და დასავლეთის მხრიდან მძიმე ეკონომიკური სანქციები აქვს დაწესებული.

საკვანძო სიტყვები: ახლო აღმოსავლეთი; გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე; გლობალური მოთამაშე; დისკურსი; ურთიერთობები; სპარსეთის ყურე; სტრატეგიული სტაბილურობა.

შესავალი

ახლო აღმოსავლეთი არის მსოფლიოს უნიკალური რეგიონი, სადაც ერთმანეთშია შეზრდილი მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციები და სადაც ასევე ერთად ცხოვრობენ და ერთმანეთთან მუდმივად თანამშრომლობენ სამი რელიგიის – ისლამის, ქრისტიანობისა და იუდეაიზმის მიმდევრები.

მას შემდეგ, რაც ენერგეტიკულ რესურსებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკაში, ახლო აღმოსავლეთი გახდა წამყვანი სახელმწიფოების ინტერესის საგანი და გადაიქცა მათ შორის ბრძოლის ეპიცენტრად ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე კონტროლის მოსაპოვებლად.

ვინაიდან თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში გაზისა და ნავთობს ცენტრალური ადგილი უჭირავს, მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაშიც იზრდება.

იმის გათვალისწინებით, რომ სპარსეთის ყურის რეგიონში თავმოყრილია მსოფლიოში აღმოჩენილი ნავთობის მარაგების 50 პროცენტი, და მსოფლიოს გაზის მარაგების 40 პროცენტი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა უახლოესი ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ გაიზრდება.

ძირითადი ნაწილი

რუსეთის ფედერაციამ 2008 წლის კონცეფციაში პირველად მოიხსენია გლობალური უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტა და სტრატეგიული სტაბილურობის დამყარება, როგორც რუსეთისა და აშშ-ის შესაძლო თანამშრომლობის ერთ-ერთი სფერო. მსგავსი გადაწყვეტილებით რუსეთი თავის თავს წარმოაჩენს საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთ წამყვან და, რაც მთავარია, აშშ-ის თანასწორ მოთამაშედ.

რუსეთის ფედერაციის შემდეგ საგარეო კონცეფციებში აღნიშნულია ევროატლანტიკური რეგიონის ქვეყნებთან რუსეთის თანამშრომლობის სურვილი პარტნიორული პარიტეტების საფუძველზე. ეს პარტნიორობა მიმართული უნდა იყოს „საერთო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფორმირებისკენ, რაც, თავის მხრივ, უნდა დაფუძნებოდეს უსაფრთხოების ერთიან პრინციპებს, თანამშრომლობას და ორმხრივ ნდობას. რუსულ საზოგადოებაში კვლავ მძაფრადაა ჩარჩენილი, ჯერ კიდევ ცივი ომის ეპოქის დისკურსის, აშშ და ევროპის, როგორც რუსეთის – საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ერთიანი დასავლეთის ბლოკის განსაზღვრება. ამას კიდევ უფრო აძლიერებს თანამედროვე რუსეთ - უკრაინის ომი, რომელიც რეალურად რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებაა.

თუ გავანალიზებთ ცივი ომის შემდგომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობას, რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებში შეერთებული შტატები მოიაზრება, როგორც გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე. ამასთან ერთად აშშ-ის გეგმები, აღმოსავლეთ ევროპაში განათავსოს რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები, განიხილება როგორც საფრთხე რუსეთის უსაფრთხოებისა და მსოფლიო სტაბილურობისათვის. რუსი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობა გლობალური სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია. მიუხედავად უთანხმოებისა, მათი აზრით, ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება შეერთებულ შტატებთან, ორივე მხარეს მოსკოვსაც და ვაშინგტონსაც უთანხმოების დაძლევის გზაზე თანამშრომლობის მეტ სტიმულს მისცემდა.

მრავალპოლარული მსოფლიოს შექმნა რუსეთის გეოპოლიტიკური ვექტორის საკვანძო მიზანია. უკრაინაში ომის დაწყებასაც რუსეთი სწორედ ამ ფაქტორით ამართლებს. აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ტრადიციულად იმეორებს, შეერთებული შტატების განსაკუთრებულ და უნიკალურ როლს მსოფლიოს ბედის განსაზღვრაში. რუსი პოლიტიკური ექსპერტებისა და ანალიტიკოსების აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ რაღაც დროის განმავლობაში გახდა ერთპიროვნული ლიდერი და გაუჩნდა იმპერიად გადაქცევის ამბიცია. ამან მსოფლიო პოლიტიკაში გამოიწვია გარკვეული სიძნელებები და მსოფლიო სისტემის გარდაქმნის მოთხოვნა. მათი მოსაზრებით იმისათვის, რომ აშშ-მა შეინარჩუნოს მსოფლიო პროცესებზე დომინანტის სტატუსი, ვაშინგტონი იყენებს სხვადასხვა მეთოდსა და ქმედებას, კერძოდ:

1. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჰუმანიტარული საქმიანობის საბაზით მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის ინტერვენცია. აღნიშნულის შედეგად აშშ ახდენს ადგილობრივი მმართველი რეჟიმების მოშლასა და აღნიშნულ რეგიონებში გეოპოლიტიკური სიტუაციის ვაშინგტონის სასარგებლოდ შემობრუნებას;
2. ნატოს რუსეთის საზღვრებთან მოახლოება და რაკეტაწინააღმდეგო სისტემების აღმოსავლეთ ევროპაში განთავსება. ამით აშშ აქტიურად ცდილობს შეაკავოს რუსეთის გავლენის გაფართოება;
3. აშშ-ის ინიციატივით ახალი სატრანსპორტო სისტემების შექმნა და რუსული „ენერჯეტიკული იარაღის“ შემცირების პოლიტიკის განხორციელება. ამით ვაშინგტონი შეძლებს რუსეთის გვერდის ავლით მოახდინოს შუააზიური ენერგოსაშუალებების ტრანსპორტირება.
4. აშშ-ის მხრიდან დსთ-ის ქვეყნებზე ზეგავლენა და არაერთი „ფარული ქმედების“ განხორციელება. ამით მცირდება დსთ-ის ქვეყნების ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, საბაჟო კავშირსა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (კუხო) გაერთიანების პერსპექტივები.

რაც შეეხება რუსეთ-ამერიკის ეკონომიკურ თანამშრომლობას, ამ სეგმენტში უფრო მეტად დაინტერესებული მხარე შეერთებული შტატები იყო. რუსეთის ბაზარი, მისი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლისა და იმპორტულ საქონელზე

გადასახადების შემცირების შედეგად, ამერიკული მანქანათმშენებლობისათვის, სასოფლო დანიშნულების პროდუქტებისა და ქიმიური კომპანიებისათვის საკმაოდ მიმზიდველი იყო. მეორე მხრივ, რუსული ნავთობი და ნავთობპროდუქტები აშშ-ის ბაზარზე ყოველწლიურად შედარებით ნაკლები რაოდენობით შედიოდა. ამის ძირითადი მიზეზი შეერთებული შტატების მიერ საკუთარი ნავთობის მრეწველობის ზრდა იყო. თუმცა ასევე, ეკონომიკური თანამშრომლობის ხელის შეშლა პოლიტიკურ გარემოებებსაც ემყარებოდა. მაგალითისთვის, აშშ-ის პოლიტიკურმა კლასმა ერთის მხრივ გააუქმა „ჯეკსონ-ვენეის“ შესწორება, რაც აშშ-ის კომპანიებს უკრძალავდა რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკურ ვაჭრობას, თუმცა არ დააყოვნა და მალევე მიიღო „მაგნიტსკის აქტი“. ორივე აქტი ამერიკული საკანონმდებლო ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლების ქმედებებს განიხილავდა როგორც იმპერიალისტურ მოქმედებებს, რომლებიც მიმართული იყო ადამიანის უფლებების შელახვისაკენ.

რუსეთის დღევანდელი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება. თუ გადავხედავთ საბჭოთა რუსეთის ისტორიას, რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთი რუსეთისათვის უცხო რეგიონს არ წარმოადგენს. რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში დამკვიდრებულია, რომ XV საუკუნეში, ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ, სწორედ „რუსეთი გახდა ქრისტიანული მართლმადიდებლობის კერა და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანული ერების დამცველი სახელმწიფო“. ხმელთაშუაზღვისპირეთში რუსული საზღვაო ძალები XVIII საუკუნიდან მოქმედებენ, ეს იყო ოსმალეთის იმპერიისა და სპარსელების

წინააღმდეგ ბრძოლა, თუ პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთთან დაპირისპირება. მეორე მსოფლიო ომის დროს, სწორედ საბჭოთა ძალებმა შეძლო ირანში შესვლა, სადაც 1943 წელს „დიდი სამეულის“ ლიდერებს შორის ისტორიული შეხვედრა გაიმართა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირი ებრაული სახელმწიფოს დაფუძნების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. თუმცა მოგვიანებით რუსეთის ინტერესები და, შესაბამისად, მისი მხარდაჭერა ისეთ არაბულ სახელმწიფოებს დაუკავშირდა, როგორცაა სირია, რადგან ცივი ომის დროს ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ ამ ქვეყნებს მიიჩნევდა საბჭოთა კავშირი თანამოაზრედ. წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირი რეგიონის ქვეყნებს ამარაგებდა იარაღით, ათობით ათასი სამხედრო მრჩევლითა და ტექნიკოსით, ასევე უწევდა ეკონომიკურ დახმარებას. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცივი ომის დროს ევროპა და აღმოსავლეთ აზია უკვე დაყოფილი იყვნენ გავლენის სფეროებად, სწორედ ახლო აღმოსავლეთი იყო საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მთავარი ბრძოლის ველი.

სპარსეთის ყურის ომის დროს, საბჭოთა კავშირის მამინდელი ლიდერის, მიხეილ გორბაჩოვის გადაწყვეტილებით, რუსეთის ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან გამოსვლა გახდა საბჭოთა კავშირის ზესახელმწიფოს სტატუსის შემცირების მიზეზი. სწორედ ამ სტატუსის აღდგენამ განაპირობა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ახლო აღმოსავლეთში რუსეთის დაბრუნების გადაწყვეტილება. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კონტროლის მოპოვება არის საშუალება რუსეთისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მოახდინოს ქვეყნის პოზიციების აღდგენა.

2015 წელს სირიის კრიზისთან დაკავშირებული აშშ-რუსეთის დიპლომატიური ძალისხმევა და შემდგომ რუსეთის მხრიდან სამხედრო ინტერვენცია გახდა რუსეთის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთის რეგიონსა და საერთაშორისო დონეზე გლობალური მოთამაშის სტატუსის დაბრუნების გზაზე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა სირიის სამოქალაქო ომში ჩაბმა, იმ დროისთვის აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ეშტონ კარტერმა მოსკოვს კატასტროფა უწინასწარმეტყველა. მათი გადმოსახედიდან, რუსეთის სირიაში შესვლა უფრო გაართულებდა ისედაც დამაბულ სიტუაციას და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის რუსული სტრატეგია განწირული იყო მარცხისთვის.

შესაძლოა ეს ვარაუდი გამართლებულიყო, თუმცა, ამერიკულმა მხარემ ვერ გაითვალისწინა, რომ სირიაში შესვლა რუსეთის მხრიდან გაცნობიერებული ნაბიჯი იყო. რუსეთისთვის სირია არ არის უცხო პოლიტიკური გარემო, პირიქით ცივი ომის დროს სირია იყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მხარდამჭერი. შესაბამისად, მოსკოვს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა სირიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. ქვეყანაში შესვლის ძირითადი მიზეზიც სწორედ ამ კავშირის შენარჩუნება იყო. პუტინისთვის ცხადი იყო, რომ რუსეთის ჩარევის გარეშე შეუძლებელი იყო ასადის რეჟიმის შენარჩუნება, რაც რუსეთისათვის აუცილებელი კომპონენტს წარმოადგენდა რეგიონთან კავშირის განმტკიცებისათვის. კრემლის გათვლებით, თუ რუსეთს სურდა, რომ მისი ახლოაღმოსავლური ექსპანსიის გეგმა რეალური ყოფილიყო, აუცილებელი ხდებოდა სირიის ომში ჩარევა და, შესაბამისად ასადის ხელისუფ-

ლებაში დატოვება. რუსეთის ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, რისკიანი იყო, რადგან დამარცხება წერტილს დაუსვამდა რუსეთის მიზნებს რეგიონთან მიმართებაში. თუმცა ეს არ იყო უსაფუძვლო გადაწყვეტილება, როგორც ამას ამერიკელები თვლიდნენ. გარდა ამისა, რუსეთს კარგი შესაძლებლობა ექმნებოდა დაებლოკა კატარიდან ევროპისკენ მიმავალი გაზსადენი, რაც რუსულ ენერგეტიკულ იმპერიას საფრთხეს უქმნიდა, რადგან დასავლეთი, განსაკუთრებით ევროპა, ნაკლებ დამოკიდებული გახდებოდა რუსულ ენერგომატარებლებზე.

განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთმა რეგიონში წარმატების მიღწევა ორ წელიწადში მოახერხა და, რაც მთავარია, მისი ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე – პრეზიდენტ ასადის რეჟიმი – გადაარჩინა. რუსეთმა ასევე შეძლო გამარჯვება მოეპოვებინა ისლამურ სახელმწიფოზე. 2017 წლის 6 დეკემბერს პუტინმა განცხადებაში აღნიშნა, რომ სირიაში ევფრატის ორივე სანაპიროზე ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ სრული გამარჯვება მოიპოვეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ დროისთვის სამხედრო ოპერაციები დასრულდა და სამომავლოდ ყურადღება პოლიტიკურ პროცესებზე გამახვილდებოდა.

რუსეთის ინტერესის სფეროა ასევე ფასების კონტროლი ენერგომატარებლებზე რეგიონში გაზისა და ნავთობის წამყვან მწარმოებლებთან პოლიტიკის კოორდინაციით. ენერჯის ფასების კონტროლი რუსეთისთვის არის კიდევ ერთი და საკმაოდ ძლიერი არასამხედრო შესაძლებლობა, რომ თავის კონტროლს დაუქვემდებაროს რეგიონში მიმდინარე პროცესები. თუ გადავხედავთ რუსეთის მოქმედებებს საერთაშორისო ასპარეზზე, დავინახავთ, რომ

კრემლი ხშირად იყენებს ენერჯის ფასებს მიზნების მისაღწევად და ძალაუფლების განსამტკიცებლად.

სწორედ ეს ინტერესები განსაზღვრავს რუსეთის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის მიმართულებებს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად რუსეთი აქტიურად ცდილობს თავის სასარგებლოდ დაამშვიდოს სიტუაცია სირიაში, რაც ითვალისწინებს ასადის ხელისუფლებაში დატოვებასა და მისი სახით რეგიონში მოკავშირის შენარჩუნებას. ირანის ბირთვული გარიგების შემდეგ რუსეთი ცდილობს ურთიერთობა გააღრმავოს ირანთან და მაქსიმალური სარგებელი ნახოს. ამჟამად რუსეთი ირანთან ფართოდ თანამშრომლობს ბირთვული ენერჯეტიკის სფეროში, რაც ეწინააღმდეგება აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს სპარსეთის ყურეში. გარდა ამისა, უკრაინის ომში აშკარად გამოიკვეთა ირანის სამხედრო მხარდაჭერა რუსეთისადმი, რაც კამიკაძე დრონების გადაცემაში გამოიხატა. რუსეთი ამ დრონებს ეფექტურად იყენებს უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად, რაც ვაშინგტონის და მთლიანად დასავლეთის უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს. ირანი, თავის მხრივ, აშკარად არ აცხადებს, რომ ის ამ ომში რუსეთის მოკავშირეა.

მოკავშირეების გაზრდის მიზნით რუსეთი ასევე ცდილობს შეძლებისდაგვარად პრაგმატული ურთიერთობა დაამყაროს საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებთან. საუდის არაბეთის მეფის – სალმანის ვიზიტი რუსეთში შესაძლოა მიჩნეული იყოს საუდის არაბეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დაწყების საწინდრად, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვიზიტის ფარგლებში, საუდის არაბეთის მეფემ რუსეთთან თანამშრომლობის დაწყების ახალი ეპოქის შესაძ-

ლებლობებზე მიანიშნა. მიუხედავად ქვეყნებს შორის განსხვავებებისა და დამაბული ურთიერთობისა, უსაფუძვლო არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ სამომავლოდ შესაძლოა ეს ქვეყნები საერთაშორისო დონეზე მოკავშირეებიც გახდნენ. ვარაუდის საშუალებას ასევე იძლევა ზემოხსენებული შეხვედრის შემდეგ, საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ რუსეთ-საუდის არაბეთის ურთიერთობის მიმართებაში ახალი შესაძლებლობები გაჩნდა, რაც აქამდე წარმოუდგენელი იყო.

ყოველივე ამის გაგრძელება იყო 2022 წლის ნოემბერში, ვენაში ოპეკის შეხვედრაზე საუდის არაბეთის მკვეთრი პოზიცია, რომ იგი აშშ-ის თხოვნის მიუხედავად ნავთობის მოპოვებას შეამცირებდა, რაც აშკარად რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო დროინდელი ტენდენციებით პატარა სახელმწიფოებმა აშკარად დაიწყეს მხოლოდ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა და ნაკლებად ითვალისწინებენ დიდი აქტორების მოთხოვნებს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 2022 წლის მაისში აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს საუდის არაბეთის ლიდერი მოჰამედ ბენ სალმანი საკმაოდ ცივად შეხვდა.

ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა გეოპოლიტიკურია. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის პოლიტიკის ვექტორების ასევე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. რუსეთის ფედერაციაში შედის რამდენიმე დიდი მუსლიმური რესპუბლიკა, ჩეჩნეთი და დღესტანი ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო მდინარე ვოლგის აუზში თათრეთი. ქვეყნის საერთო მოსახლეობის 12 პროცენტი მუსლიმია. დამატებით, ცენტ-

რალური აზრისა და აზერბაიჯანის მუსლიმი მოსახლეობის რუსეთში ემიგრანტთა რაოდენობა მილიონამდე აღწევს, რომელთა დიდი ნაწილი რუსეთში არალეგალურად შედის. ახლო აღმოსავლეთიდან მიგრაციის ტალღის გამძლიერება კიდევ უფრო საფრთხის ქვეშ აყენებს მუსლიმი მოსახლეობის ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციასთან მიახლოებას. მიუხედავად ისლამური სახელმწიფოს „დაცემისა“ რუსეთში მაინც არის რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების საშიშროება. უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან რუსეთი ყოველთვის იდგა ტერორიზმის საფრთხის წინაშე.

სირიაში რუსეთის შესვლის გადაწყვეტილება ასევე განპირობებული იყო სამხედრო კუთხითაც. რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესშია, სირიაში შესვლით რუსეთს საშუალება მიეცა, მართალია მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც დაბრუნებულიყო ძირითად საერთაშორისო აქტორთა რიგებში. რუსეთის თავდაცვის სფეროში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ როგორც მომხმარებლებს. 2015 წელს რუსეთის შეიარაღების შემსყიდველთა რიგებში 36 პროცენტი სწორედ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს ეკავათ, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია თუ გავითვალისწინებთ, რომ აზიას 42 პროცენტი აქვს დაკავებული.

ათწლეულების განმავლობაში ალჟირი, ეგვიპტე, ირანი, ერაყი და სირია სწორედ რუსეთისაგან ყიდულობენ შეიარაღებას. შესაბამისად, რუსეთში შეიარაღების მწარმოებლები იმედოვნებენ, რომ სირიის ომში რუსული იარაღის მოქმედება, ისევე,

როგორც დამასკოში პუტინის მხრიდან მოკავშირის მხარდაჭერა, ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის შეიარაღების პრესტიჟის ამაღლებას და შესაბამისად გამოიწვევს ახალი კლიენტების ინტერესს, განსაკუთრებით კი სპარსეთის ყურის ქვეყნებში. ამ კუთხით რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი უახლესი წინ გადადგმული ნაბიჯია საუდის არაბეთისთვის მძლავრი S-400 საჰაერო თავდაცვის სისტემის მიყიდვა. აღნიშნული გარიგებით არა მხოლოდ რუსეთის ბიუჯეტი გაიზარდა, არამედ ამან ხელი შეუწყო რუსეთისა და საუდის არაბეთის ურთიერთობის დადებითად განვითარებას.

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია სირიაში ბოლო წლების განმავლობაში პუტინის მესამე სამხედრო თავდასხმას წარმოადგენდა: 2008 წელი – საქართველო, 2014 წელი – უკრაინა და 2015 წელი – სირია. სამივე ქვეყანას აერთიანებს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მათ აქვთ წვდომა იმ საზღვაო აუზებზე, რაც აუცილებელია რუსეთის ეკონომიკური ზრდისთვის, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს რუსეთს, რომ დაიბრუნოს გლობალური მოთამაშის სტატუსი. გარდა ამისა, სირიის, ასევე საქართველოსა და უკრაინის კონტროლი მინიმუმამდე შეამცირებს გეოსტრატეგიულ მანძილს ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთს შორის, ასევე დასავლეთ ევროპასთან. საშუალებას მისცემს რუსეთს აკონტროლოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს იმ ნებისმიერ გლობალურ და რეგიონალურ პროცესში, რაც რუსეთის მხრიდან მისი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ იქნება აღქმული. მსგავსი გავლენის მოპოვება, რა თქმა უნდა აიძულებს აშშ-სა და სხვა გლობალურ მოთამაშეებს ცნონ რუსეთის მზარდი ზეგავლენა და როლი საერთაშორისო პოლიტიკაში.

რუსეთის უნარი, რომ ეფექტურად და სწრაფად იმოქმედოს რამდენიმე ფლანგზე ხაზს უსვამდა რუსეთის სამხედრო შესაძლებლობებს, ასევე ასახავდა კრემლის სურვილს განეხლებინა რუსეთის გლობალური როლი, რომელიც მას ცივი ომის დროს ჰქონდა, როდესაც საბჭოთა კავშირის ჯარები განლაგებული იყო კუბაში, ავღანეთში, ევგოპტესა და ბევრ სხვა ქვეყანაში, რათა დაეხალანსებინა აშშ-ის გავლენა.

რუსეთის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის გადახედვით მარტივია იმის დანახვა, რომ რუსეთი აქტიურად მოქმედებს რამდენიმე ფლანგზე. ეს არის სირიის კრიზისის მოგვარება, საუდის არაბეთთან საერთო ენის გამონახვა, ირანთან და თურქეთთან თანამშრომლობის გაგრძელება, თუ ისრაელის რთულ შიდა პოლიტიკასთან ლავირება. თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ რუსეთის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაზე არ უნდა დავივიწყოთ ის გამოწვევები და პრობლემები, რასაც რუსეთი შეიძლება წააწყდეს რეგიონში თავისი საგარეო პოლიტიკის გატარებისას.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რაც კრემლის წინაშე დგას არის სირიაში არსებული პოსტკონფლიქტური სიტუაციის მართვა.

სირიის ისლამური სახელმწიფოსა და ერაყის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ეტაპი დასრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ჯგუფის სრულად გაქრობა ჯერჯერობით საეჭვოა, მათ მიერ ტერიტორიების კონტროლი თითქმის მთლიანად გაქარწყლებულია მას შემდეგ, რაც სირიის ორი "დედაქალაქი" – მოსული და რაქა – გათავისუფლდა და ერაყისა და სირიის ტერიტორიების უმრავლესობა დაბრუნდა. სირიის დანარჩენ ტერიტორიას კი აშშ-ის მოკავშირე ქურთული სახალხო დამცველის რეჟიმი აკონტროლებს. რუსული ინტერვენციის წყალობით,

შეიარაღებული ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი ლიკვიდირებულია და შეიძლება ითქვას, რომ აქტიური საომარი მოქმედებების პერიოდი დასრულდა. ამ ეტაპზე სირიელი ხალხისთვის მშვიდობისა და სტაბილურობის საკითხები გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ძალაუფლების განაწილება და მომავალი პოლიტიკური წყობა.

ამჟამად სირია შესულია კონფლიქტის დეესკალაციის ფაზაში, სადაც რუსეთის როლი, როგორც წამყვანი აქტორის, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მალე სირიის რეჟიმი აღარ მოითხოვს სამხედრო მხარდაჭერას, არამედ ქვეყანას დასჭირდება სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა, რაც შეიძლება რუსეთმა ვერ უზრუნველყოს. დღევანდელი გადმოსახედიდან, ბაშარ ალ-ასადი რუსეთის მხარდაჭერისა და სამხედრო ინტერვენციის წყალობით შეიძლება მიჩნეული იყოს, როგორც „გამარჯვებული“, თუმცა, ეს სულაც არ არის იმის გარანტი, რომ რუსეთისათვის პოსტკონფლიქტურ სირიაში ყოფნა კომფორტული იქნება. ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებს უკრაინაში მიმდინარე ომი, რაც რუსეთისათვის უაღრესად დიდი და თავსატეხი პრობლემაა.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს რუსეთის მნიშვნელობა დამასკოსთვის განსაზღვრული იყო სამხედრო დახმარებითა და მისი ძალების განლაგებით, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რეჟიმის სამხედრო მიღწევებში, მაგრამ პოსტკონფლიქტური პერიოდის დაწყებით, სამხედრო ფაქტორების მნიშვნელობა სტაბილურად შემცირდება და წინ წამოსწევს თანამშრომლობის ფინანსურ და ეკონომიკურ ასპექტებს. როგორც რუსი ანალიტიკოსი ი. ხრისტენზენი, სირიაში რუსების მოქმედებებზე

ამბობს: „ნგრევა რუსებს კარგად გამოსდით, ვნახოთ როგორ გამოუვათ შენება.“

ამ ყველაფრის ფონზე, ირანმა გააკეთა განცხადება, რომ ის სირიას ფინანსურად ხელს შეუწყობდა. სატელეფონო საუბრისას ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანმა ბაშარ ალ-ასადი დაარწმუნა, რომ მისი ქვეყანა მზად იყო აქტიური მონაწილეობა მიეღო სირიის ომის შემდგომ განვითარებაში. ირანის პრეზიდენტმა ასევე მოუწოდა ირანულ კერძო კომპანიებს ჩაერთონ სირიის რეკონსტრუქციის პროცესში. აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში სირიაში საგრძნობლად გაიზრდება ირანის გავლენა, რაც პირდაპირ გამოიწვევს ქვეყანაში რუსეთის ძალაუფლების შემცირებას. აქვე უნდა აღინიშნოს ირანის პრეზიდენტის კიდევ ერთი განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ სირიის მომავლის გადაწყვეტა არ შეიძლება მოხდეს ძალაუფლების ვაკუუმში. დამასკოს ხელისუფლება უნდა იყოს ძლიერი და თავად უნდა შეძლოს პოსტკონფლიქტური პროცესის გავლა. ეს განცხადება შესაძლოა გაკეთებული ყოფილიყო რუსეთის წინააღმდეგ, რათა ხაზი გასმოდეს იმას, რომ ქვეყნის ბედთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები არ უნდა მიიღონ გარე აქტორებმა სხვადასხვა შეხვედრის დროს, როგორცაა ქენევის პროცესი, რომელსაც ირანი მისი ინტერესების მოწინააღმდეგედ აღიქვამს.

რუსეთში არსებული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, ირანისგან განსხვავებით რუსეთს არ გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ დიდი ინვესტიციები გააკეთოს სირიაში კონფლიქტის დასრულების შემდეგ. 2014 წელს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაცემამ და რუსეთის მხრიდან საპასუხოდ ვაჭრობაზე ბოიკოტის

გამოცხადებამ, ამასთან ერთად ნავთობის ფასების დრამატულმა შემცირებამ და რუბლის ძალის დაკარგვამ, რუსეთი ძლიერ ეკონომიკურ კრიზისში ჩააგდო.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სირიაში რუსეთის პოზიციები დამაჯერებლად არ გამოიყურება. რუსეთი აცნობიერებდა, რომ ირანთან და თურქეთთან ალიანსი მომავალში შეიძლება არც ისე სასარგებლო ყოფილიყო, მაგრამ უკრაინის ომმა ვითარება რადიკალურად შეცვალა. პოსტკონფლიქტური სირიის მიმდინარე პროცესებში დომინირებისათვის მოსკოვს ესაჭიროებოდა ახალი მოკავშირეების მოძიება, რომლებიც ძირს არ გამოუთხრიდნენ რუსეთის გეგმებს რეგიონთან მიმართებაში. შედეგად, რუსეთის მთავრობა აქტიურად ცდილობდა შეენარჩუნებინა კონტროლი მოლაპარაკებების პროცესებზე, რათა არ მომხდარიყო მისი, როგორც სირიის კრიზისის მთავარი მოდერატორის პოზიციის შესუსტება.

რუსეთის ძირითადი მიზანი იყო რეგიონულ და საერთაშორისო მოთამაშეებს ენახათ, რომ რუსეთი არის შეუცვლელი აქტორი სირიის კრიზისის მოგვარების პროცესში. სწორედ ამ მიზნით დაიგეგმა და გაიმართა 2018 წლის 29-30 იანვარს სირიელი ხალხისთვის კონგრესი სოჭში. კრემლის ვარაუდით, ეს კონგრესი უნდა ქცეულიყო ერთგვარ აქტივად მსოფლიო თანამეგობრობის თვალში, სირიის კონფლიქტის მოგვარების საქმეში რუსეთის, როგორც უპირობო მოთამაშის დამკვიდრებისათვის. თუმცა შედეგი არც ისე სახარბიელო გამოდგა რუსეთისათვის. ჯერ კიდევ კონგრესის დაწყებამდე შეიქმნა პრობლემა მონაწილეთა განსაზღვრისას. ბევრს მიიჩნდა, რომ რუსეთის ეს ნაბიჯი ქენევის სამშვიდობო პროცესის

დაკნინების მცდელობა იყო და მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ თავიდანვე ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა შეხვედრის მიმართ. კონგრესის თავდაპირველი მიზანი იყო მოსკოვის, ანკარისა და თეირანის მხრიდან გზავნილი ვაშინგტონის მიმართულებით, რომ ამერიკელებს არანაირი გავლენა არ აქვთ სირიაში მიმდინარე პროცესებზე, და რომ სირიის ისლამური სახელმწიფო რეგიონული აქტორების გავლენის ქვეშაა, მაგრამ ეს აღმოჩნდა ისევე განუხორციელებელი, როგორც თავად ამ კონგრესის შინაარსი.

რუსეთმა თავისი გავლენის განმტკიცება მანამდე არაერთხელ სცადა. 2017 წლის 20 ნოემბერს ბაშარ ალ-ასადის სოჭში გამართულ შეხვედრაზე გამოჩენა, 2011 წლის შემდეგ მისი ქვეყნიდან გამოსვლის მეორე შემთხვევა იყო. პირველად ის 2015 წელს ასევე რუსეთში იმყოფებოდა პუტინთან შეხვედრაზე. რუსეთისათვის სირიის პრეზიდენტი ერთგვარი აქტივია, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ცდილობს დიპლომატიურ წარმატებად აქციოს. სირიის პრეზიდენტის ვიზიტის ძირითადი მიზანი დამსკოს საკითხთან მიმართებით რუსეთის მონოპოლიის განმტკიცება იყო. პუტინმა ნათლად დაანახა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ მოსკოვს აქვს ქვეყნის გასაღები და მხოლოდ მას შეუძლია მოლაპარაკების მაგიდასთან მიიყვანოს სირიის ხელისუფლება.

შეხვედრის დასრულებისთანავე პუტინმა საუბრის არაბეთის, ეგვიპტის, ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებს გააცნო შეხვედრის შედეგები. ორი დღის შემდეგ, ირანისა და თურქეთის პრეზიდენტებთან შეხვედრისას პუტინმა კიდევ ერთხელ სცადა თავისი წამყვანი პოზიციისა

და როლის განმტკიცება რუსეთ-ირან-თურქეთის სამკუთხედში.

სირიის მოლაპარაკებების პროცესში გადამწყვეტი როლის მიუხედავად, რუსეთის რესურსები და შესაძლებლობები აშკარად არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ კრემლს წამყვანი როლი შეენარჩუნებინა კონფლიქტის შემდგომ მიმდინარე პროცესების მართვაში. მოსკოვს სჭირდებოდა სირიაში კიდევ ერთი პარტნიორი, რომელსაც შეეძლებოდა პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში რეკონსტრუქციისთვის საჭირო რესურსების მოძიება და თანახმა იქნებოდა ქვეყანისათვის ფინანსური დახმარება რუსეთის გავლით გაეწია. უფრო დიდი პრობლემა იყო ის, რომ მოსკოვს არ გააჩნდა საკმარისი დრო ახალი პარტნიორების მოსაძებნად. ისლამურ სახელმწიფოზე გამარჯვების გამაყარება უფრო გააძლიერებდა ასადის რეჟიმს, რაც გაართულებდა სირიის პრეზიდენტზე რუსეთის გავლენის გაძლიერებას. რუსეთისათვის მთავარი საფრთხე ის იყო, რომ რაღაც მომენტში „შესაძლო იყო დამსკოს რუსულ ზეწოლაზე რეაგირება შეეწყვიტა“, რაც რუსეთის გეგმებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან მიმართებით საგრძნობლად შეაფერხებდა.

რუსეთის მიმდინარე მოქმედებები მიუღებელი თუ არა დამაფიქრებელი მაინც იყო თეირანისთვის. უცხო არ არის იმის მტკიცება, რომ სირიის კრიზისსა და შემდგომ პროცესებში, როგორც რუსეთსა და თურქეთს, ირანსაც თავისი ინტერესები აქვს. უპირველეს ყოვლისა, თეირანი თვლის, რომ რუსეთის სურვილი განიხილოს ჟენევის პროცესი, როგორც სირიაში მიმდინარე პროცესების მოგვარების პოლიტიკური სტრატეგია, არის დამსკოსთან მიმართებით თეირანის გრძელვადიანი ინტერესების გა-

მოწვევა. უფრო მეტიც, ირანის თვალსაზრისით, ჟენევის პროცესი, პირველ რიგში, სირიაში მიმდინარე პროცესებში ირანისა და მისი მოკავშირეების როლის შემცირების ერთ-ერთი საშუალებაა. ამრიგად, ჟენევის პროცესის ნებისმიერი მხარდაჭერა ირანის მხრიდან აღქმული იქნება, როგორც პირდაპირი დარტყმა თეირანის ინტერესებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სოჭში 2017 წელს გამართული ბოლო სამხრეთი საპრეზიდენტო სამიტის დროს, მხოლოდ პუტინმა ისაუბრა ჟენევის პროცესის აუცილებლობაზე, როდესაც ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანმა ძირითადი აქცენტები იმაზე გააკეთა, რომ სირიის მომავალი სირიელი ხალხის ხელშია. ვფიქრობთ, რომ რუსეთის მხრიდან ჟენევის პროცესის მხარდაჭერა არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ირანთან მეტოქეობის მცდელობა, არამედ პუტინის მსგავსი ქმედება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ რუსეთი არის ერთადერთი მაკავშირებელი ძალა ორ განსხვავებულ კავშირს შორის – ჟენევის პროცესი და სოჭის კონგრესი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სირიის კონფლიქტის მოგვარებაში.

ირანის მეორე შემფოთება უკავშირდება რუსეთის მიერ სირიის კრიზისში ჩართულ ყველა მხარესთან მუშაობის პოლიტიკას. მაგალითად, ასადთან შეხვედრის შემდეგ პუტინმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან, საუდის არაბეთის მეფე სალმანთან, ეგვიპტის პრეზიდენტ აბდელ ფატას ალ-სისისთან და ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიახუსთან ცალ-ცალკე სატელეფონო საუბრები გამართა სოჭის სამიტის შედეგების შესახებ. ეჭვგარეშეა, რომ ამერიკის, საუდის არაბეთისა და ისრაელის სირიასთან დაკავშირებული გეგმები ეწინააღმდეგება ირანის

ძირითად ინტერესებს და, აქედან გამომდინარე, თეირანი საფუძვლიანად არის შემფოთებული რუსეთის მხრიდან ამ აქტორებთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობით. რუსეთის მრავალმხრივი დიპლომატია სირიის საკითხთან მიმართებით ირანისთვის დასაფიქრებელია, ვინაიდან ორივე ქვეყანას თავისი ინტერესი აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან. გამორიცხული არ არის, რომ ამ ყველაფერმა რუსეთ-ირანის ურთიერთობაში ბზარები გააჩინოს.

ამას გარდა, რუსეთისთვის ახლო აღმოსავლური პოლიტიკის გატარებას ირანისა და საუდის არაბეთის დაპირისპირება უქმნის პრობლემას. იემენის კონფლიქტი, პირველ რიგში, ირანისთვის რეგიონში მთავარი კონკურენტის – საუდის არაბეთის დასუსტების ერთი-ერთი საუკეთესო გზაა. ირანი ამ კონფლიქტს იყენებს, რათა საუდის არაბეთი ჩართოს გრძელვადიან და საკმაოდ ძვირად ღირებულ ომში. იემენის კონფლიქტთან დაკავშირებით, რუსეთი ცდილობს თავი აარიდოს კონკრეტულ განცხადებებს და რომელიმე მხარისთვის მხარდაჭერის გამოცხადებას, ვინაიდან რუსეთი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ცდილობს საუდის არაბეთთან ურთიერთობების განმტკიცებასა და განვითარებას, ნაკლებადაა დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთში არსებული სტატუს-კვოს დარღვევით.

რუსეთი საუდის არაბეთთან მიმართებით, ირანისგან დამოუკიდებლად, ახორციელებს პრაგმატულ პოლიტიკას, თუმცა არსებობს ზღვარი, თუ რამდენად შეუძლია მოსკოვს საუდის არაბეთთან დაახლოება. ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს თეირანში ეროვნული ინტერესების ღია უგულვებელყოფად ან რუსეთსა და საუდის არაბეთს შორის გრძელვადიანი დადებითი ურთი-

ერთობის გამყარებად, სერიოზულად გაართულებს რუსეთ-ირანის ურთიერთობას.

რუსეთ-ირანის ურთიერთობების გაუარესება საკმაოდ დააზარალებს რუსეთის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, სადაც ირანის გავლენა ძალზე დიდია, თუმცა ამჟამად ეს მოსალოდნელი არ არის უკრაინის ფაქტორის გამო. ირანთან დაპირისპირება ასევე გამოიწვევს ნავთობისა და გაზის სფეროში ერთობლივი პროექტების დაკარგვას, რაც კიდევ უფრო დაასუსტებს ისედაც მძიმე ეკონომიკურ სიტუაციას რუსეთში.

შესაბამისად, რუსეთი უნდა დაფიქრდეს ირანთან მიმართებით. თეირანთან დაპირისპირება საგრძნობლად გაართულებს რუსეთის მიერ ახლოაღმოსავლური პოლიტიკის გატარებას. რუსეთისთვის, განსაკუთრებით კი ეკონომიკური კუთხით, აუცილებელია საუდის არაბეთთან თანამშრომლობა, თუმცა პუტინი ყურადღებით უნდა იყოს, რომ საუდის არაბეთთან თანამშრომლობით ირანის განაწყნება არ გამოიწვიოს და პირიქით. იმ შემთხვევაში თუ რეგიონში ირანი ან საუდის არაბეთი პირდაპირ დაუპირისპირდა რუსეთს, მოსკოვს არ შესწევს იმის ძალა, რომ ღია კონფლიქტში ჩაერთოს რომელიმე ქვეყანასთან და თან გააგრძელოს ახლოაღმოსავლური ექსპანსია. ეს კიდევ უფრო რთული ჩანს დღეს, უკრაინაში ომის ფონზე, რომლის პროგნოზირებაც ყველაზე გამოცდილ საერთაშორისო პოლიტიკურ ექსპერტებსაც კი უჭირთ.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური ვექტორი აშშ-ს განიხილავს მთავარ მოწინააღმდეგედ საგარეო

პოლიტიკის საკვანძო ამოცანების მიღწევის გზაზე. თუმცა რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია აშშ-თან თანამშრომლობა, რადგან კრემლისათვის, მსოფლიო და რეგიონალური სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამყარებისას, ასევე შეიარაღების კონტროლის სფეროში, თეთრი სახლი ყველაზე მისაღები გლობალური პარტნიორია. ეს პოზიცია მეორდება ყველა რუსულ საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაში. დამატებით რუსები ფიქრობდნენ, რომ აშშ-თან თანამშრომლობის დაწყებისას აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან მიმართებით გარე აქტორების ინტერესებით თუ ვიმსჯელებთ, ერთი შეხედვით ჩანს, რომ მათ ასპარეზი რუსეთს დაუთმეს და საშუალება მისცეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაატაროს რეგიონში თავისი ინტერესები. როდესაც საკითხი ეხება ახლო აღმოსავლეთს და რეგიონში რუსეთის გავლენის გაფართოებას, ბევრი თვლიდა, რომ აშშ იქნებოდა ერთ-ერთი მთავარი ძალა, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდავდა რუსეთის ექსპანსიას ახლო აღმოსავლეთში. თუმცა არსებული მდგომარეობა საპირისპიროს გვაჩვენებდა. აშშ ბოლო პერიოდში ძირითადად ფოკუსირებული იყო შიგა პოლიტიკასა და ჩრდილოეთ კორეასთან პაექრობაზე. თუ გავითვალისწინებთ რამდენად უარყოფით შედეგებს მოიტანდა რუსეთის გავლენის გაფართოება ახლო აღმოსავლეთში, არა მარტო აშშ-სათვის, არამედ მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებისთვის, სრულიად მიუღებელია გარე აქტორების არსებული დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხზე.

მისაღებია ეს თუ არა, რეალობა არის ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ძალაუფლება და გავლენა ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ შემცირდა. რასაც ხელი ასევე შეუწყო, ობამას ადმინისტრაციის დროინდელმა წარუმატებელმა და ჩავარდნილმა გადაწყვეტილებებმა, რამაც რეგიონში შექმნა ძალაუფლების ვაკუუმი. შედეგად ასპარეზზე გამოჩნდა

რუსეთი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა ამ ვაკუუმის შესავსებად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ასე მასშტაბურად პირველად დაბრუნდა ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით სპარსეთის ყურეში, რომელიც მეთოდურად ქმნიდა სისტემურ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა აქტორების მიმართ.

ლიტერატურა

1. *The concept of the foreign policy of the Russian Federation, Approved by the President of the Russian Federation.* (2000).;
2. Konovalov, A.O. (2016). *Middle East in the system of foreign policy priorities of the Russian Federation: geopolitical concepts of the 21st century, prospects, reality.* (In Russian);
3. National Security Strategy Archive. (2015). *National Security Strategy.*;
4. Clover, C. (2012). *Clinton vows to thwart new Soviet Union.* The Financial Times:
<https://www.ft.com/content/a5b15b14-3fcf-11e2-9f71-00144feabdc0> ;
5. Foreign Economic Information Portal. (n.d). *Foreign trade of Russia with the USA.*;
6. Bipartisan Policy Center. (2012). *A Bull in Bear's Clothing: Russia, WTO and Jackson-Vanik.*
<https://bipartisanpolicy.org/download/?file=/wp-content/uploads/2019/03/Russia-Staff-Paper.pdf>;
7. Trenin, D. (2017). *Russia's Breakout into the Middle East.*
<https://worldview.stratfor.com/article/russias-breakout-middle-east>;
8. Trenin, D. (2016). *Russia in the Middle East: Moscow's Objectives, Priorities, and Policy Drivers.*
<http://carnegie.ru/2016/04/05/russia-in-middle-east-moscow-s-objectives-priorities-and-policy-drivers-pub-63244>;
9. Bradley, J. R. (2017). *How Putin came to rule the Middle East.*
<https://www.spectator.co.uk/2017/10/how-putin-came-to-rule-the-middle-east/>;
10. Reuters. (2017). *Putin declares "complete victory" on both banks of Euphrates in Syria.*
<https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-putin/putin-declares-complete-victory-on-both-banks-of-euphrates-in-syria-idUSKBN1E027H>;
11. Wintour, P. (2017). *Saudi king's visit to Russia heralds shift in global power structures.*
<https://www.theguardian.com/world/2017/oct/05/saudi-russia-visit-putin-oil-middle-east>;
12. Soldatkin, V., & Golubkova, K. (2017). *Russia, Saudi Arabia cement new friendship with king's visit.*
<https://www.reuters.com/article/us-russia-saudi-terror/russia-saudi-arabia-cement-new-friendship-with-kings-visit-idUSKBN1CA1QU>;

13. Trenin, D. (2016). *Russia in the Middle East: Moscow's Objectives, Priorities, and Policy Drivers*.
<http://carnegie.ru/2016/04/05/russia-in-middle-east-moscow-s-objectives-priorities-and-policy-drivers-pub-63244>;
14. Korzun, P. (2016). *Russia: Strengthening Foothold in Middle East and North Africa*.
<https://www.strategic-culture.org/news/2016/10/12/russia-strengthening-foothold-middle-east-north-africa.html>;
15. Barnard, A., & Saad, H. (2017). *Raqqa, ISIS 'Capital,' Is Captured, U.S.-Backed Forces Say*.
<https://www.nytimes.com/2017/10/17/world/middleeast/isis-syria-raqqa.html>;
16. Christensen, Yu. (2018). *Strategic defeat in Syria is already obvious, the only question is timing and price*.
<https://ehorussia.com/new/node/15740>;
17. Presstv. (2017). *Iran to continue support for Syria against terrorism, Rouhani tells Assad*.
<http://www.presstv.com/Detail/2017/11/25/543490/Iran-Syria-rouhani-assad>;
18. Reuters. (2017). *Russia, partners fix date for Syrian congress in Sochi*.
<https://uk.reuters.com/article/uk-mideast-crisis-syria-congress/russia-partners-fix-date-for-syrian-congress-in-sochi-idUKKBN1EG183>
19. Chalatashvili, L. (2018). *In Sochi, the conference dedicated to establishing peace in Syria ended unsuccessfully*. (In Georgian).
<https://www.kvirispalitra.ge/lado-chalathashvilis-blogi/40142-sotcshi-siriashi-mshvidobis-damyarebishvis-midzghvnili-konferencia-krakhith-dasrulda.html>;
20. Issaev, L. (2017). *Is Russia afraid of losing Syria?*
<http://www.aljazeera.com/indepth/opinion/russia-afraid-losing-syria-171129090329298.html>;
21. Azizi, H. (2017). *Russia's multilayered Syrian diplomacy worries Iran*.
<http://www.al-monitor.com/pulse/originals/2017/12/iran-russia-sochi-summit-mistrust-astana-geneva-syria.html#ixzz52LkZ49Ic> ;
22. Issaev, L., & Kozhanov, N. (2017). *The Russian-Saudi rapprochement and Iran*.
<http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2017/08/russian-saudi-rapprochement-iran-170817154056810.html>;
23. Byman, D. L. (2016). *Shifting U.S. interests in the Middle East*.
<https://www.brookings.edu/blog/markaz/2016/03/02/shifting-u-s-interests-in-the-middle-east/>;
24. Walt, S. M. (2016). *The United States Should Admit It No Longer Has a Middle East Policy*.
<http://foreignpolicy.com/2016/01/29/the-u-s-should-admit-it-has-no-middle-east-policy-obama-cold-war-israel-syria/> .

UDC 327

SCOPUS CODE 3320

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-2-93-107>

Relations Between the United States and Russia in the Middle Eastern Region

Tamila Kurashvili

Department of International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.

E-mail: tamikurashvili@gmail.com

Reviewers:

B. Sherazadishvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU

E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

Z. Kvetenadze, Associate Professor, Faculty of Law and International Relations, GTU

E-mail: Kvetenezurabi07@gtu.ge

Abstract. The main global geopolitical discourse of the 20th century was to divide the world into two parts, the spheres of influence of Soviet and West. The United States was the leader of the West, which was perceived by Russia as a major geopolitical opponent. The political leadership of Russia, at first with inertia, and then thoroughly continued this course of Soviet Union. The US authorities showed a relatively less reactionary policy on the Russian Federation than it did to the Soviet Union. However, the final cooperative agreement on the main geopolitical issues has not been reached between the two states.

The Persian Gulf and the Middle Eastern region in general have always been a wide area of interest to Russia. Such a persistent interest in the region is due to a very simple reason – the Middle East is the southern flank of Russia's borders. Consequently, Russia's foreign policy will always have a leading influence in the region. Consequently, the US – Russia interests also appear in this region.

One of the leading directions in Russia's geopolitics is the United States. Currently, there is a highly tense relationship between the US and Russia due to the Ukrainian war. Nevertheless, both large international actors are more or less aware of how much their relationship depends on the fate of humanity as a whole. Russia and the US were allies in World War II. This historical memory also exists between them, but ideological and civilizational differences have not allowed the parties to lay the groundwork for somewhat peaceful and fair world. Relationships between them are more rivalry than cooperation. At present, Russia has imposed heavy economic sanctions from the US and the West.

Keywords: discourse; geopolitical opponent; Middle East; Persian Gulf; strategic stability.

განხილვის თარიღი 09.03.2023

შემოსვლის თარიღი 15.03.2023

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.2023

ავტორთა საძიებელი

Author's index

აბულაძე ვ. 27	რაზმაძე-ბროკიშვილი თ. 35
აბშილავა ა. 47	ტალახაძე დ. 47
ბედინაშვილი ი. 85	ქართველიშვილი გ. 68
გუგულაშვილი გ. 55	ქუთათელაძე რ. 9
დავითაია მ. 68	ღურჯკაია ზ. 78
ისაკაძე თ. 55	ყურაშვილი თ. 93
კობიაშვილი ა. 9	ჩუბინაშვილი თ. 85
კოპალეიშვილი მ. 85	ჯიქია ნ. 47
ლაზარაშვილი ზ. 55	Esadze S. 63
ლეჟავა პ. 78	Gegeshidze N. 18
მარდაშოვა მ. 35	Kilasonia N. 18
მახვილაძე ნ. 85	Pavliashvili N. 63
მიქავა თ. 35	Tsintsadze M. 18
მოდებაძე ი. 27	

რეცენზენტთა საძიებელი

Reviewer's index

ახობაძე მ. 85	ფიცხელაური ა. 78
ბარათაშვილი ე. 9	ქურდაძე მ. 27
გასიტაშვილი ზ. 85	შერაზადიშვილი ბ. 93
გიგინეიშვილი ა. 47	ჩუბინიძე თ. 68
ენაგელი რ. 47	წიკლაური მ. 78
ზაუტაშვილი გ. 35	ხუნდაძე ნ. 35
კვეტენაძე ზ. 93	ჯაფარიძე ზ. 55
კიკნაძე მ. 9	Giorgadze T. 18
მუჯირი ვ. 68	Kakhiani L. 63
ნანობაშვილი ვ. 27	Kldiashvili R. 18
სულაძე ს. 55	Tabatadze D. 63

ავტორთა საყურადღებოდ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული არის ყოველკვარტალური რეგულირებადი მულტიმედია-პოლინური პერიოდული გამოცემა, რომელიც რეგისტრირებულია საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში _ Index Copernicus International.

- სტატია (მიიღება ქართულ და ინგლისურ ენებზე) ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.
- ავტორს შეუძლია საგამომცემლო სახლში პუბლიკაციისათვის მოგვარდოს ან ელექტრონული ფოსტით sagamomcemlosakhli@yahoo.com მისამართზე გამოგვიგზავნოს ერთი ან რამდენიმე სტატია, აგრეთვე თანდართული დოკუმენტაციის დასკანერებული ფაილები, მაგრამ კრებულის ერთ ნომერში გამოქვეყნდება მხოლოდ ორი ნამუშევარი.

ელ. ფოსტით სტატიის გამოგზავნის შემთხვევაში გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი მოთხოვნები:

- *Subject* ველში (თემა) მიუთითეთ კრებულის დასახელება და ავტორის (ავტორების) გვარი.
- გამოიყენეთ ფაილის მიმაგრება (*Attach*).
- დიდი მოცულობის ფაილის შემთხვევაში გამოიყენეთ არქივატორი (*ZIP, RAR*).

• სტატია შედგენილი უნდა იყოს მართლმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით. ავტორი (ავტორები) და რეცენზენტები პასუხს აგებენ სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.

• ვინაიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებული არის არაკომერციული გამოცემა, ჩვენი მეცნიერი თანამშრომლებისა და დოქტორანტებისთვის სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს # 200 დადგენილებით (22.01.2010წ.), ფიზიკურმა პირმა, რომელიც არ არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი, შრომების კრებულში სტატიის გამოქვეყნებისთვის წინასწარ უნდა შეიტანოს ან გადმორიცხოს საჭირო თანხა (1 გვერდი _ 10 ლარი) და სტატიის დოკუმენტაციას (ორი რეცენზია და ორგანიზაციის სამეცნიერო საბჭოს მიმართვა სტატიის სტუ-ის შრომების კრებულში გამოქვეყნების შესახებ) დაურთოს გადახდის ქვითარი. გრაფაში „გადახდის დანიშნულება“ უნდა ჩაიწეროს „სტატიის გამოქვეყნების ღირებულება“.

სტუ-ის საბანკო რეკვიზიტებია: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საიდენტიფიკაციო კოდი 211349192; მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში: სახაზინო კოდი 708977259.

გთავაზობთ სამეცნიერო სტატიის გაფორმების წესს:

- სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით A4 ფორმატის ფურცელზე, არანაკლებ 5 გვერდისა (არეები _ 2 სმ, ინტერვალი _ 1,5).
- სტატია შესრულებული უნდა იყოს doc ან docx ფაილის სახით (MS Word) და ჩაწერილი _ ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;

- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ შრიფტი Sylfaen, ზომა 12;
- ინგლისური ტექსტებისთვის – შრიფტი Times New Roman, ზომა 12;

სტატიას უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია:

- უაკ (უნივერსალური ათობითი კლასიფიკაცია) კოდი.
- ცნობები ავტორის (ავტორების) და რეცენზენტების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე:
 - ყველა ავტორის სახელი და გვარი სრულად, E-mail-ი, სამეცნიერო წოდება და საკონტაქტო ტელეფონი;
 - დეპარტამენტის დასახელება. ორგანიზაციის სრული სახელწოდება – ყოველი ავტორის მუშაობის ადგილი, ქვეყანა, ქალაქი.
 - რეცენზენტთა გვარები და სახელები სრულად, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სამეცნიერო წოდება, დეპარტამენტის ან სამუშაო ადგილის დასახელება.

სტატია უნდა შეიცავდეს:

- ანოტაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე (100_150 სიტყვა). *უცხოელი მკითხველისათვის ანოტაცია არის სტატიის შინაარსისა და მასში გადმოცემული კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის ერთადერთი წყარო. სწორედ იგი განსაზღვრავს ინტერესს მეცნიერის ნაშრომის მიმართ და, მაშასადამე, სურვილს, დაიწყოს დისკუსია ავტორთან, გამოითხოვოს სტატიის სრული ტექსტი და ა.შ.*

ანოტაცია უნდა იყოს:

- ინფორმაციული (არ უნდა შეიცავდეს ზოგად სიტყვებსა და ფრაზებს);
- ტექსტი ინგლისურ ენაზე უნდა იყოს ორიგინალური;
- უნდა ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსსა და კვლევის შედეგებს;
- სტრუქტურირებული (მიჰყვებოდეს სტატიაში შედეგების აღწერის ლოგიკას).

უნდა შეიცავდეს:

- სტატიის საგანს, თემას, მიზანს (რომლებსაც უთითებთ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის ცხადი სტატიის სათაურიდან);
- კვლევის ჩატარების მეთოდს ან მეთოდოლოგიას (სამუშაოს ჩატარების მეთოდის ან მეთოდოლოგიის აღწერა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოირჩევა სიახლით, საინტერესოა მოცემული ნაშრომის თვალსაზრისით);
- კვლევის შედეგებს;
- შედეგების გამოყენების არეალს;
- დასკვნას;

- საკვანძო სიტყვებს, დალაგებულს ანბანის მიხედვით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილ შესავალს, ძირითად ნაწილს და დასკვნას;

- სურათების ან ფოტოების კომპიუტერულ ვარიანტს, შესრულებულს ნებისმიერი გრაფიკული ფორმატით, გარჩევადობა _ არანაკლებ 150 dpi-სა.
- ლიტერატურა
 - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების მონაცემთა ბაზების რეკომენდაციით, გამოყენებული ლიტერატურის რაოდენობა სასურველია იყოს არანაკლებ ათისა.

წარმოდგენთ გამოსაქვეყნებელ სტატიაში გამოყენებული ლიტერატურის გაფორმების წესს:

ყველა ავტორის გვარი და ინიციალები მოცემული უნდა იყოს ლათინური ანბანის ასოებით, ე.ი. ტრანსლიტერაციით, სტატიის სახელწოდება _ თარგმნილი ინგლისურად, წყაროს (ჟურნალის, შრომების კრებულის, კონფერენციის მასალების) სახელწოდება _ ტრანსლიტერაციით; გამოსასვლელი მონაცემები _ ინგლისურ ენაზე (სტატიის ენა მიეთითება ფრჩხილებში).

ლიტერატურა (ნიმუში)

1. Ellison, S.L.R., Williams, A. (2018). *Quantifying Uncertainty in Analytical Measurements*. p. 159. (In Russian);
2. Alamo-Sanza, M., Nevares, I. (2018). Oak wine barrel as an active vessel: A critical review of past and current knowledge. *Critical Reviews in Food Science and Nutrition*. 58(16), pp. 2711-2726.;
3. Kvinikadze, L., Shakulashvili, N., Blay, C. (2005). Determination of resveratrol and some other polyphenols in wine by high performance liquid chromatography. *Georgian Engineering News*, 4, pp.210-213.
4. Annual Audit Reports of the State Electric System of Georgia. (2011-2020). Retrieved from: <http://www.gse.com.ge/new/?cat=7>

გთავაზობთ სტატიის წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და დოქტორანტებისთვის:

• ორი რეცენზია (იხ. ნიმუში)

http://publishhouse.gtu.ge/site_files/recenziis_nimushi.docx

• ფაკულტეტის საგამომცემლო საქმის დარგობრივი კომისიის ოქმის ამონაწერი

(იხ. ნიმუში) http://publishhouse.gtu.ge/site_files/aqtis_forma.docx

დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს ფაკულტეტის ბეჭდით.

ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს კრებულის ერთ-ერთი ბოლო ნომერი.

აქტის ნიმუში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის _____ ფაკულტეტის
სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის _____ დარგობრივი კომისიის

აქტი № _____

„_____”

სხდომას ესწრებოდნენ:

დარგობრივი კომისიის წევრები:

(მიუთითეთ კომისიის შემადგენლობა) _____

განსახილველი სტატიის ავტორი/ავტორები: (მიუთითეთ სახელი და გვარი სრულად, სამუშაო ადგილი და სამეცნიერო წოდება, აკადემიური ხარისხი სრულად, ელ. ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი)

1. _____

2. _____

3. _____

რეცენზენტები: (მიუთითეთ სახელი და გვარი სრულად, სამუშაო ადგილი და სამეცნიერო წოდება, აკადემიური ხარისხი სრულად, ელ. ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი)

1. _____

2. _____

დარგის მოწვეული სპეციალისტები:

1. ნაშრომის განხილვა

2. (მიუთითეთ ფაკულტეტის დასახელება)

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიაში განსახილველად შემოვიდა ავტორის/ავტორების მიერ მომზადებული სამეცნიერო სტატია

(მიუთითეთ სტატიის სრული დასახელება)

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის მიერ გამოყოფილია რეცენზენტები:

1. _____

2. _____

2. ნაშრომის საჯარო განხილვა

1. მოსმინეს: ავტორის/ავტორების *(მიუთითეთ)* ინფორმაცია განსახილველად წარმოდგენილი სტატიის შესახებ. _____

ნაშრომის ანოტაცია

3. მოსმინეს: რეცენზენტის/რეცენზენტების *(მიუთითეთ)* არგუმენტირებული შეფასება სტატიის აქტუალურობის, სიახლის და გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ. _____

4. მოსმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა-რეკომენდაცია *(მიუთითეთ მომხსენებლის ვინაობა)* _____ სტატიის გამოცემის შესახებ.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის

(მიუთითეთ ფაკულტეტის დასახელება)

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიაში განსახილველად შემოვიდა
ავტორის/ავტორების მიერ მომზადებული სამეცნიერო სტატია

(მიუთითეთ სტატიის სრული დასახელება)

რეკომენდაციას უწევს სტატიის გამოქვეყნებას სტუ-ის შრომათა კრებულში.

ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

კომისიის წევრები:

ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის
ხელმოწერის სინამდვილეს ვადასტურებ
ფაკულტეტის დეკანი (ხელმოწერა)

რეცენზიის ნიმუში

1. ნაშრომის დასახელება სრულად

2. ავტორის/ავტორების სამეცნიერო წოდება, სამუშაო ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია, ელ. ფოსტა

3. ნაშრომში დასმული ამოცანის მოკლე მიმოხილვა

4. გამოსაქვეყნებლად მომზადებული ნაშრომის აქტუალურობა

5. ძირითადი ასპექტები, რომლებიც განხილულია ავტორის მიერ

6. რეკომენდაცია ნაშრომის გამოქვეყნებისათვის (იმ შემთხვევაში თუ სარეცენზიო ნაშრომი სამეცნიერო სტატიაა, აუცილებელია სამეცნიერო ჟურნალის დასახელების მითითება)

7. რეცენზენტის გვარი და სახელი სრულად, სამუშაო ადგილი, სამეცნიერო წოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, ელ. ფოსტა (სტატიის რეცენზირების შემთხვევაში რეცენზენტის მონაცემები გამოქვეყნებული იქნება სტატიასთან ერთად)

Guidelines for Authors

Collection of Academic Works of Georgian Technical University is a multidisciplinary quarterly refereed periodical included in Index Copernicus International.

- An article (accepted in Georgian or English) is published in the original language;
- Authors should submit original copies of one or more articles for publication to the publishing house or send scan versions to sagamomcemlosakhli@yahoo.com along with supporting documentation, but only two articles from the same author(s) will be published in one edition;

To submit scan versions via email please follow the instructions:

- *In the Subject line indicate the collection of works and the name(s) of author(s).*
- *Attach the file(s) properly;*
- *Use ZIP or RAR file compressors in case of large files to attach.*

- The article should be literal, well-structured and apply proper terminology to convey the author's constructive arguments relevant to the subject. The authors and reviewers are responsible for the content and quality of an article;
- The collection of works of GTU is a non-commercial publication and running the articles of our researchers and for PhD students is free of charge;
- According to the Resolution No.200 of GTU Academic Council (22.01.2010), authors who are not the employees at the University, should make the preliminary payment by cash or transfer to have their paper published (10 GEL per page). Copy of the payment receipt should be enclosed with the supporting documentation (two reviews and a reference by the organization's academic board on publishing the article in GTU collection of scientific papers). "Cost of article publication" shall appear as subject in the "purpose of payment" field.

GTU bank details: LEPL Georgian Technical University; organization's identification number 211349192; beneficiary bank: State Treasury; beneficiary: joint treasury account; bank code: TRESGE22; Account number: treasury code 708977259.

How to form an academic article:

- The text should be presented in print-out form (A4), no less than 5 pages (margins - 2 cm, line spacing - 1,5);
- Only MS Word versions of texts are accepted (doc or docx) presented electronically on any magnetic carrier;
- For Georgian texts: font - Sylfaen, font size - 12 pt;
- For English text: font - Sylfaen, font size - 12 pt.

The accompanying information to the article should include:

- Universal Decimal Classification (UDC)
- Information about the author(s) and reviewers in Georgian and English:
 - Full name, academic title, email and phone number of each author;
 - Department, full name of organization – place of employment of each author, area/town, country;
 - Full name, email, academic title, department or place of employment of each reviewer.

The article should include:

- An abstract in Georgian and English(100-150 words long). *For foreign readers an abstract is the only source of information about the content of an article and results of the research conveyed by it. An abstract therefore defines the reader's interest towards the article and possibility of further outreach to the author for the full text, etc.*

An abstract should be:

- *Informative (free of generalized terms and statements);*
- *Original (with quality translations in English with the proper application of terminology);*
- *Specific (conveying the core content of an article);*
- *Properly structured (consistent with the research results given in the article).*

An abstract should contain:

- *The subject, topic and objective of an article (indicated in case if these are not clear from the title);*
- *Method or methodology of research performed (expected to be described when and if this method or methodology are new and interesting with reference to the article);*
- *Research results;*
- *Area of application of research results;*
- *Conclusion.*

- Key words sorted by alphabet (Georgian and English);
- Sections should be outlined Introduction, Main Part and Conclusion;
- Digital version of drawings or images in any graphic format, resolution 150 dpi;
- Reference
 - By the recommendations of Databases of International Scientific Journals the number of references should be no less than ten.

How to form the reference section in the article:

Name and surname of each author should be given in Latin letter initials, title of the articles – translated in English, name of the source (journal, collection of works, conference materials) – with transliteration (original language of the article should be indicated in brackets).

References (sample)

1. Ellison, S.L.R., Williams, A. (2018). *Quantifying Uncertainty in Analytical Measurements*. p. 159. (In Russian);
2. Alamo-Sanza, M., Nevares, I. (2018). Oak wine barrel as an active vessel: A critical review of past and current knowledge. *Critical Reviews in Food Science and Nutrition*. 58(16), pp. 2711-2726.;
3. Kvinikadze, L., Shakulashvili, N., Blay, C. (2005). Determination of resveratrol and some other polyphenols in wine by high performance liquid chromatography. *Georgian Engineering News*, 4, pp.210-213.
4. Annual Audit Reports of the State Electric System of Georgia. (2011-2020). Retrieved from: <http://www.gse.com.ge/new/?cat=7> (In Georgian).

Requirements for the submission of articles by the employees and for PhD students of Georgian Technical University:

- Two reviews (see the sample at)
http://publishhouse.gtu.ge/site_files/recenziis_nimushi.docx
- Minutes of the sectoral committee of the faculty publishing (see the sample at)
http://publishhouse.gtu.ge/site_files/aqtis_forma.docx
Documents should be verified with the faculty stamp.

Notice to Authors

Authors may consider one of the previous editions of GTU Collection of Academic Works as an example

რედაქტორები: მ. ბაზაძე, ა. ეგოროვი
კომპიუტერული უზრუნველყოფა ე. ქარჩავასი

გადაეცა წარმოებას 29.03.2023. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.2023. ქაღალდის ზომა 60X84 1/8.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7.4.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent